



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვაშტიკიშვიტ”

თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
სოფიო დვალისშვილი

ს. დვალისშვილი

“20” “03” “2018 წელი

N 25/36

გვ. N: 1

სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და
სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საჯარო
სერვისების განვითარების მიზნით საკუთარი შემოსავლების
განკარგვის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

01.01.2015 – 01.01.2017

სარჩევი

ტერმინთა განმარტება	3
შემაჯამებელი მიმოხილვა.....	4
შესავალი	9
1.1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	9
1.2. აუდიტორის პასუხისმგებლობა	9
1.3. აუდიტის საგანი	9
1.4. აუდიტის მასშტაბი	9
1.5. აუდიტის კრიტერიუმები	10
1.6. აუდიტის მიზანი	10
1.7. ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტების საქმიანობის შესახებ	10
2. აუდიტის მიგნებები	16
2.1 აუდიტის ობიექტებსა და იუსტიციის სახლს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების ფასწარმოქმნის პრინციპები დადგენილი არ არის	16
2.2. უშედეგოდ და კონკურენციის გარეშე დასრულებული ტენდერები	19
2.3 სერვისების სააგენტოს ქ. თბილისის არქივის შენობის ექსპლუატაციაში მიღებისა და კონსტრუქციული ნაწილის ნაკლოვანება	23
2.4 სანიველირე ქსელის მოკვლევის მომსახურების შესყიდვაში არსებული ხარვეზები	28
2.5. ბიომეტრიული პასპორტების მასალის შესყიდვისას ანგარიშსწორების პროცესის არასათანადო მართვის შედეგად გადახდილი თანხების არაეკონომიურობა	29
2.6. შრომის ანაზღაურების სისტემაში არსებული ნაკლოვანებები	30
2.7 წინა აუდიტების ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირება	31

ტერმინთა განმარტება

სამინისტრო - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

სერვისების განვითარების სააგენტო - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;

საჯარო რეესტრი - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;

იუსტიციის სახლი - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - იუსტიციის სახლი;

ექსპერტიზის ეროვნული ბიურო - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო;

სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

შპს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

სანიველირე ქსელი - ქვეყნის ტერიტორიის სიმაღლეების ერთიანი სისტემა, რაც დედამიწის ტოპოგრაფიული გადაღებისა და საინჟინრო-გეოდეზიური სამუშაოების საფუძველად გამოიყენება;

სანიველირე რეპერი - სანიველირე ნიშანი.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა (შემდგომში - სერვისების განვითარების სააგენტო) და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში - საჯარო რეესტრი) საჯარო სერვისების განვითარების მიზნით საკუთარი შემოსავლების განკარგვის 2015-2016 წლების შესაბამისობის აუდიტი.

ზემოაღნიშნულ პროცესში გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები და ნაკლოვანებები, კერძოდ:

სახელმწიფო შესყიდვები

სერვისების განვითარების სააგენტომ 2015-2016 წლებში განახორციელა 43,1 მლნ ლარის შესყიდვა, ხოლო საჯარო რეესტრმა - 28.7 მლნ ლარის.

აუდიტის ობიექტების მიერ იუსტიციის სახლისთვის მომსახურებაში გადასახდელი თანხების ფასწარმოქმნის პრინციპები დადგენილი არ არის

საჯარო რეესტრისა და სერვისების განვითარების სააგენტოს უფლებამოსილების ფარგლებში, მომხმარებლისთვის სერვისების მიწოდებას უზრუნველყოფს იუსტიციის სახლი. ამ მიზნით, 2015-2016 წლებში ადმინისტრაციული მომსახურების შესყიდვაზე, აუდიტის ობიექტებსა და იუსტიციის სახლს შორის გაფორმებულია ხელშეკრულებები. კერძოდ, საჯარო რეესტრის შემთხვევაში, 2015-2016 წლებში იუსტიციის სახლისთვის გადახდილია 16 მლნ. ლარი, ხოლო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ - 10.9 მლნ ლარი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ არ არის განსაზღვრული იუსტიციის სახლისთვის მომსახურებაში გადასახდელი თანხების ფასწარმოქმნის პრინციპები, რაზე დაყრდნობითაც მოხდება გაწეული მომსახურების ანაზღაურება.

იუსტიციის სახლისთვის თანხის გადახდა არ ეფუძნება არც განხორციელებული სერვისებისა და ტრანზაქციების, არც აუდიტის ობიექტების მიერ მიღებული შემოსავლების ფაქტორს. არსებული სქემით სსიპ-ების მიერ იუსტიციის სახლისთვის თანხის გადახდა ფაქტობრივად არის იუსტიციის სახლის სუბსიდირება, თუმცა არც სუბსიდირების წესი და კრიტერიუმებია შემუშავებული. გამომდინარე იქიდან, რომ სსიპ-ების ძირითადი დაფინანსების წყაროს საკუთარი შემოსავლები წარმოადგენს, მნიშვნელოვანია, მიღებული შემოსავლების სათანადოდ დაგეგმვა და მიმართვა სსიპ-ების მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებისა¹ და განვითარებისთვის. შესაბამისად, აუდიტის ობიექტების მიერ იუსტიციის სახლისთვის მომსახურებაში გადახდილი თანხა უნდა იყოს მიღებული სარგებლის პროპორციული და თანაბარზომიერი.

უშედეგოდ და კონკურენციის გარეშე დასრულებული ტენდერები

აუდიტის ობიექტების მიერ გამოცხადებული ტენდერების საშუალოდ 22% - უშედეგოდ, ხოლო 28% კონკურენციის გარეშე სრულდება. ტენდერების კონკურენციის გარეშე და უშედეგოდ დასრულება მეტწილად შესყიდვების წინამოსამზადებელი სამუშაოების არასათანადო წარმართვას უკავშირდება.

ტენდერების გამოცხადების ეტაპზე შემსყიდველმა უნდა გაითვალისწინოს ბაზრის კვლევის შედეგები, ასევე წინა ტენდერებისა და ხელშეკრულებების ფარგლებში არსებული გამოცდილება.

ბაზრის არასათანადო შესწავლაზე მიუთითებს სხვადასხვა ფაქტი, როდესაც შესყიდვის სავარაუდო ღირებულებისა და საქონლის/მომსახურების ტექნიკური მახასიათებლების მოკვლევა გარკვეულ შემთხვევებში ხდება ტენდერის გამოცხადებისა და მიმდინარეობის პერიოდში, დისკვალიფიცირებული ან ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტების, ან

¹ საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“, მუხლი 13, პუნქტი 1, 2.

მათ მიერ წარმოდგენილი ტექნიკური პირობების საფუძველზე. ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში სატენდერო მოთხოვნები არაპროპორციული და შემსყიდველის საჭიროებებთან შეუსაბამოა.

ტენდერის გამოცხადებამდე შემსყიდველების მიერ მოუზადებელი ტექნიკური მახასიათებლები, ასევე სატენდერო დოკუმენტაციაში არასაჭირო და არაპროპორციული სატენდერო მოთხოვნების განსაზღვრა, შესყიდვის პროცესის გაჭიანურებისა და არაეკონომიურად განხორციელების რისკებს შეიცავს.

სერვისების სააგენტოს ქ. თბილისის არქივის ექსპლუატაციაში მიღებული შენობის კონსტრუქციული ნაწილის პრობლემა

სერვისების სააგენტოს მიერ ქ. თბილისის არქივის შენობის სამშენებლო სამუშაოების 2014 წელს განხორციელებული შესყიდვა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა. მიმწოდებელმა ვერ უზრუნველყო ვალდებულების ჯეროვანი შესრულება, რის გამოც სააგენტომ მასთან ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყვიტა და პირგასამტეხლო დააკისრა. სამუშაოების ექსპერტიზა განახორციელა ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ, რომლის დასკვნაც ადასტურებს მშენებლობის კონსტრუქციული ნაწილის მნიშვნელოვან ხარვეზს. სააგენტომ მიმართა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურს, რომელმაც საბოლოოდ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილების საფუძველზე, შენობა ექსპლუატაციაში მიიღო.

აუდიტის სამსახურმა მიმართა ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, რომლის პასუხიდან ირკვევა, რომ „აღნიშნული შენობის ცალკეული კვანძები საფრთხის შემცველია, ხოლო შენობის ექსპლუატაციაში მიღება გაუმართლებელია, ვინაიდან როგორც წესი, ასეთი შენობის მედეგობა შემცირებულია.“

აუდიტის პირველადი ანგარიშის გაცემის შემდგომ, სამინისტრომ აუდიტის სამსახურს მოაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შენობის ექსპლუატაციაში მიღებამდე, მათ მყისიერად ჩაატარეს სამუშაოები იმ კვანძზე, რომელიც ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მიჩნეული იყო როგორც „საფრთხის შემცველი“. ამასთან, საექსპერტო დასკვნა არ მიუთითებდა შენობის ექსპლუატაციაში მიღების საფრთხეზე. შესაბამისად, მათთვის, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მოსაზრება შენობის ექსპლუატაციის გაუმართლებლობასთან დაკავშირებით ცნობილი არ იყო. სამინისტრომ აუდიტის პირველადი ანგარიშის მიღების შემდგომ, დამატებით ჩაატარა ექსპერტიზა და წარმოადგინა შპს „ოპტიმუსის“ მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა. ექსპერტიზა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ერთ კვანძზე ჩატარებულია სამუშაოები და ასევე შენობას არ მიიჩნევენ ექსპლუატაციისთვის საფრთხის შემცველად.

აუდიტის სამსახურმა დამატებითი მტკიცებულებების მოპოვების მიზნით, მიმართა ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, რომლის პასუხიდანაც ირკვევა, რომ „ერთი კვანძის გამოსწორებით ვერ შეიცვლება შენობაში არსებული მდგომარეობა, რაც შექმნილია სხვადასხვა ზონებში პროექტისა და სამშენებლო ნორმების დარღვევით ლითონკონსტრუქციების კვანძების უხარისხო მოწყობით, რის გამოც მისი ექსპლუატაცია არ არის მიზანშეწონილი.“

სერვისების განვითარების სააგენტომ 2015 წლიდან ვერ უზრუნველყო არქივის შენობის მშენებლობაში არსებული სხვადასხვა ხარვეზების გამოსწორება. აღნიშნული სამუშაოები გათვალისწინებული იყო 2018 წლის ბიუჯეტში და აუდიტის ანგარიშის გაცემის დროს მიმდინარეობს. აუდიტის ობიექტის განმარტებით, დღეის მდგომარეობით, არქივის ორსართულიან შენობაში, სადაც განთავსებულია საოფისე ნაწილი და სამუშაო პერიოდში იმყოფებიან თანამშრომლები, გამაგრებითი/გადლიერებითი სამუშაოები უკვე დასრულებულია, ხოლო მდგრადობის დასადასტურებლად, ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში უკვე გადაგზავნილია მოთხოვნა ექსპერტიზის ჩასატარებლად. არქივის ერთსართულიან ნაწილში, სადაც განთავსებულია არქივი, ამჟამად გამაგრებითი სამუშაოები მიმდინარეობს და დასრულებულია შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის 50%-მდე. სამინისტროს განმარტებით, დღეის მდგომარეობით, არქივის შენობის ექსპლუატაცია არ მიმდინარეობს. დაცლილია ადმინისტრაციული შენობა და თანამშრომლები სამუშაოდ გადაყვანილი არიან ალტერნატიულ ტერიტორიაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოკითხვების, წერილობითი მიმოწერისა და ფაქტების დოკუმენტური ანალიზის, ასევე განსხვავებული საექსპერტო დასკვნებისა და მოსაზრებების შედეგად, აუდიტის სამსახური ვერ დარწმუნდა თავის დროზე შენობის ექსპლუატაციაში მიღების მიზანშეწონილობაში.

როგორც აღინიშნა, არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად, სააგენტომ დაიწყო სამუშაოების ჩატარება, თუმცა მათი მოცულობისა და ხარისხის შეფასება, თანმდევი რისკების გათვალისწინებით, სცდება აუდიტის სამსახურის კომპეტენციას. ვინაიდან საქმე ეხება ექსპლუატაციაში მიღებულ შენობას, მივიჩნევთ, რომ პრიორიტეტულია გამოსასწორებელი სამუშაოების დროული დასრულება უსაფრთხოების წესების დაცვით, რის შემდეგაც უნდა მოხდეს შენობის მედეგობის და ექსპლუატაციის უსაფრთხოების შეფასება.

სანიველირე ქსელის მოკვლევაში არსებული ნაკლოვანება

საჯარო რეესტრის ერთ-ერთი სტრატეგიული ამოცანაა გეოდეზიისა და კარტოგრაფიის განვითარება, რომელიც მოიცავს, მათ შორის, სანიველირე ქსელის მოკვლევასა და განვითარებას². სანიველირე ქსელის (სანიველირე რეპერების) მოკვლევის მიზნით, საჯარო რეესტრმა რამდენჯერმე გამოაცხადა ტენდერი, ხოლო საქმიანობის ნაწილი თავად განახორციელა.

საჯარო რეესტრს დამოუკიდებლად შეეძლო სანიველირე ნიშნების (რეპერების) მოკვლევა, რაც პროცესს მხოლოდ დროში გააჭიანურებდა. რეესტრის სამოქმედო გეგმითა და აქტივობებით ვერ ირკვევა, თუ რა შიდა რესურსი უნდა ყოფილიყო გამოყენებული რეპერების მოსაკვლევად და სამუშაოს რა ნაწილი უნდა განხორციელებულიყო გარე რესურსით (ტენდერით). აღნიშნული პროცესი საჯარო რეესტრის მიერ უნდა განხორციელებულიყო 2014-2017 სამოქმედო გეგმის ფარგლებში, თუმცა სამოქმედო გეგმით პროცესი არ იყო გაწერილი დროში და რეესტრის განმარტებით, სხვადასხვა პერიოდში ხორციელდებოდა.

ბიომეტრიული პასპორტების მასალის შესყიდვისას ანგარიშსწორების პროცესის არასათანადო მართვა

ბიომეტრიული პასპორტების მასალის შესყიდვისას, მიმწოდებლისთვის თანხების დროული გადახდის შემთხვევაში, სააგენტო დაზოგავდა ვალუტის კურსის ცვალებადობით წარმოქმნილ სხვაობას - 50.66 ათას ლარს.

შრომის ანაზღაურება

საკუთარი სახსრების ფარგლებში, 2015-2016 წლებში, სერვისების სააგენტოს მიერ შტატთან და შტატგარეშე მოსამსახურეებზე გაწეულმა შრომის ანაზღაურებამ 34.3 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო საჯარო რეესტრის შემთხვევაში - 49.4 მლნ ლარი.

- სააგენტოებში, თანამშრომელთა წინასწარ განსაზღვრული, დამტკიცებული საშტატო რიცხოვნობა აღემატება ფაქტობრივად დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობას (საჯარო რეესტრი - 30%, სერვისების განვითარების სააგენტო - 13%). შედეგად, არსებული საშტატო რიცხოვნობა და შრომის ანაზღაურების ფონდი არ ასახავს ადამიანური რესურსის ფაქტობრივ და საჭირო რაოდენობას.
- საჯარო რეესტრში დანამატები გაიცემა ყოველთვიურად, დასაბუთების გარეშე, რაც ვერ უზრუნველყოფს დანამატის გაცემის საკმარის გამჭვირვალობას და არსებითად თანამდებობრივი სარგოს ხასიათს ატარებს.

² სახელმწიფო სანიველირე ქსელი ქვეყნის ტერიტორიის სიმაღლეების ერთიან სისტემას წარმოადგენს, რაც დედამიწის ტოპოგრაფიული გადაღებისა და საინჟინრო-გეოდეზიური სამუშაოების საფუძვლად გამოიყენება.

წინა აუდიტების ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირება

- იუსტიციის სახლების მშენებლობების და დამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციის, ბალანსზე აღრიცხვისა და სახელმწიფო რეგისტრაციის საკითხები, მათ შორის, თბილისის იუსტიციის სახლის ექსპლუატაციაში მიღების საკითხი არ არის გადაწყვეტილი. საჯარო რეესტრისა და სერვისების განვითარების სააგენტოს ბალანსზე ირიცხება დაუმთავრებელი აქტივები საქართველოს სხვადასხვა რეგიონის იუსტიციის სახლების სახით, რაც არ აკმაყოფილებს აქტივად კლასიფიცირების კრიტერიუმს. შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივების ღირებულება წარმოდგენილია გაზრდილი ოდენობით (სერვისების განვითარების სააგენტო-43,022.91 ათასი და საჯარო რეესტრი - 40,233.70 ათასი ლარი).
- იმ პირობებში, როდესაც იუსტიციის სამინისტროში შიდა აუდიტის სამსახური არ ფუნქციონირებს, სსიპ-ების მიერ ბოლო წლებში დამოუკიდებელი აუდიტი არ ჩატარებულა, რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით.

რეკომენდაციები

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს

რეკომენდაცია N1:

ისეთი სტრატეგიული ამოცანების შესასრულებლად, როგორცაა, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის განვითარება, რომელიც მოიცავს სანიველირე ქსელის მოკვლევასა და აღდგენას, მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს სამოქმედო გეგმა, სადაც გაიწერება კონკრეტული აქტივობები, რესურსები და შესასრულებელი სამუშაოს დრო, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას, დაგეგმვის სიზუსტეს, ამოცანის შესრულების ეკონომიურობასა და დროულობას.

რეკომენდაცია N2:

სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერებში, საჯარო რეესტრის სააგენტომ ჩამოაყალიბოს საჭიროების თანაბარზომიერი სატენდერო მოთხოვნები, რომელიც გამორიცხავს ტენდერში კონკურენციის შეზღუდვას.

სერვისების განვითარების სააგენტოს

რეკომენდაცია N3:

ეფექტიანი მენეჯმენტის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია სერვისების განვითარების სააგენტომ შექმნას შესაბამისი წინაპირობები, რათა შესყიდვების განხორციელებისას ანგარიშსწორების ვადები არ დაირღვეს.

საჯარო რეესტრსა და სერვისების განვითარების სააგენტოს

რეკომენდაცია N4:

კონკურენტუნარიანი და ეკონომიური ტენდერების ჩატარების მიზნით, მნიშვნელოვანია სათანადოდ და დროულად ჩატარდეს შესყიდვის წინამოსამზადებელი სამუშაოები. კერძოდ, სააგენტოებმა უზრუნველყონ ტექნიკური მახასიათებლებისა და სავარაუდო ღირებულების ოპტიმალური განსაზღვრა ბაზრის კვლევის სათანადო მეთოდების გამოყენებით.

რეკომენდაცია N5:

სააგენტოების სამტატო რიცხოვნობისა და შრომის ანაზღაურების ფონდის რეალურობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია სააგენტოებმა დაგეგმონ საჭირო ოდენობის სამტატო რიცხოვნობა. ამასთანავე, გაცემული დანამატების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, შემუშავდეს დანამატის გაცემის კრიტერიუმები და დასაბუთების წესი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და სერვისების განვითარების სააგენტოს

რეკომენდაცია N6:

სააგენტოს არქივის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია სამინისტრომ სააგენტოსთან ერთად უზრუნველყოს აღნიშნულ პროცესში არსებული ხარვეზების მიზეზების მოკვლევა და მოახდინოს სათანადო რეაგირება. ამასთანავე, მნიშვნელოვანია დროულად გამოსწორდეს შენობის კონსტრუქციული ნაწილის ხარვეზები, ხოლო გამოსასწორებელი სამუშაოების დასრულების შემდგომ მოხდეს შენობის მედეგობის შეფასება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საჯარო რეესტრსა და სერვისების განვითარების სააგენტოს

რეკომენდაცია N7:

სააგენტოების მიერ მომსახურებაში გადახდილი ფასისა და მიღებული სარგებლის ადეკვატურობის უზრუნველსაყოფად, იუსტიციის სახლის ჩართულობით, შემუშავდეს სამართლიანი სქემა იუსტიციის სახლისთვის თანხის ასანაზღაურებლად.

რეკომენდაცია N8:

არაფინანსური აქტივების მართვასა და აღრიცხვაში არსებული პრობლემებისა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად, საჭიროა იუსტიციის სამინისტროსა და მისი მმართველობის სფეროში მოქმედ შესაბამის სსიპ-ებს შორის კოორდინირებული მუშაობით მოხდეს იუსტიციის სახლების ექსპლუატაციაში მიღებისთვის საჭირო ღონისძიებების უზრუნველყოფა.

რეკომენდაცია N9:

მნიშვნელოვანია, კანონდებლობის შესაბამისად, სსიპ-ებმა უზრუნველყონ აუდიტის ჩატარება.

შესავალი

1.1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტების ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო - ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამიანობებს.

1.2. აუდიტორის პასუხისმგებლობა

სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საჯარო სერვისების განვითარების მიზნით, საკუთარი შემოსავლების განკარგვის შესაბამისობის აუდიტი წარმოადგენს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4000) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას იმ მიზნით, რათა მიღებული იქნეს გონივრული რწმუნება იმასთან დაკავშირებით, შეესაბამება თუ არა საჯარო სერვისების განვითარების მიზნით საკუთარი შემოსავლების განკარგვის მიმართულებით სააგენტოების საქმიანობა მოქმედ კანონმდებლობას.

აუდიტი ჩატარდა შერჩევის პრინციპზე დაყრდნობით. სახელმწიფო აუდიტის სამსახური არ ამოწმებს ყველა ფინანსურ ოპერაციას. აუდიტის ანგარიში და დასკვნა არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამიებები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად აუდიტორული დასკვნის გამყარების მიზნით. პროცედურები შეირჩევა აუდიტორული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი რისკების შეფასებას. ჩვენ მიერ განხორციელებული აუდიტორული პროცედურები შესაფერისია არსებული გარემოებისთვის.

1.3. აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა:

- შრომის ანაზღაურების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა და მიზნობრიობა;
- არაფინანსური აქტივების მიღება-გაცემის ოპერაციების კანონთან შესაბამისობა;
- შესყიდვების პროცედურების შესყიდვის მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა;
- სახელშეკრულებო პირობებისა და მათი დაცვის უზრუნველყოფის კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

1.4. აუდიტის მასშტაბი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საჯარო სერვისების განვითარების მიზნით საკუთარი შემოსავლების განკარგვის შესაბამისობის აუდიტი, რომელმაც მოიცვა 2015 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდი.

1.5. აუდიტის კრიტერიუმები

- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N508 დადგენილება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების ვადების, ამ მომსახურებისათვის დაწესებული საფასურების ოდენობების და საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N509 დადგენილება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განაკვეთების, საფასურის გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“.

1.6. აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

- დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანთან დაკავშირებული ინფორმაცია სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.
- აუდიტის ანგარიშის მომხმარებლისათვის, აუდიტის მასშტაბიდან გამომდინარე, ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნების და სადაც შესაფერისია - რეკომენდაციების შესახებ.

1.7. ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტების საქმიანობის შესახებ


სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარებისა და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოები წარმოადგენენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს.

- საჯარო რეესტრის ფუნქციებია: ქონებისა და ბიზნესის რეგისტრაციის სისტემის, სივრცითი ინფორმაციის ინფრასტრუქტურის განვითარება და მართვა.
- სერვისების განვითარების სააგენტოს ფუნქციებია: მოსახლეობის ერთიანი რეესტრის წარმოება, სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია, მოქალაქეობასთან დაკავშირებული პროცედურების წარმართვა და სხვ.

აღნიშნული სსიპ-ების მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ხელშეკრულების საფუძველზე მომსახურების გაწევით³, აგრეთვე მათ მიერ შექმნილი პროდუქტის რეალიზაციით მიღებული და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები, მთლიანად ხმარდება მათი მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას, ხოლო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის განვითარებას.

³ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N508 დადგენილება; საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N509 დადგენილება.


სქემა N1. საჯარო რეესტრისა და სერვისების განვითარების სააგენტოს სტრუქტურა



საჯარო რეესტრისა და სერვისების განვითარების სააგენტოს (აუდიტის ობიექტები) მიერ დადგენილია არსებული სერვისების ტარიფები. სერვისების მოქალაქეებისთვის მიწოდებას უზრუნველყოფს იუსტიციის სახლი. გაწეული სერვისებიდან აუდიტის ობიექტები იღებენ შესაბამის ანაზღაურებას საკუთარი შემოსავლების სახით, ხოლო იუსტიციის სახლი შემოსავალს იღებს აუდიტის ობიექტებისგან და სხვა პირებისგან ხელშეკრულების საფუძველზე მათთვის გაწეულ მომსახურებაში. მაგალითად, 2016 წელს, იუსტიციის სახლმა სერვისების განვითარების სააგენტოსგან 2.6 მლნ ლარი, ხოლო საჯარო რეესტრისგან 8 მლ. ლარი მიიღო.

აღნიშნული პროცესი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ სქემაზე.

სქემა N2. იუსტიციის სახლისა და აუდიტის ობიექტების ურთიერთკავშირი.



საკუთარი შემოსავლებისა და გადასახდელების შესრულების მდგომარეობა

საჯარო რეესტრი

საჯარო რეესტრი თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს საკუთარი შემოსავლებით უშუალოდ, ან თავისი ტერიტორიული სამსახურებისა და ავტორიზებული პირების მეშვეობით⁴. სააგენტოს საკუთარი შემოსავლები და გადასახდელები დამტკიცებულია თავმჯდომარის ბრძანებით.

ცხრილი N1. საჯარო რეესტრის საკუთარი შემოსავლებისა და გადასახდელების შესრულების მდგომარეობა

ათას ლარებში	2015		2016	
ნაშთი პერიოდის დასაწყისში		16,152.21		11,033.4
	დაზუსტ. გეგმა	ფაქტი	დაზუსტ. გეგმა	ფაქტი
საკუთარი შემოსავლები - მათ შორის:	37,000.00	39,054.30	38,250.00	43,983.76
გაწეული მომსახურებიდან	36,000.00	37,439.80	36,000.00	41,449.11
დეპოზიტებზე საპროცენტო შემოსავალი	300.00	809.30	1,000.00	1,332.59
სხვა ეკონომიკური საქმიანობიდან	700.00	805.20	700.00	1,183.98
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავ.	0.00	0.00	50.00	18.08
გრანტები ⁵	0.00	0.00	500.00	0.00
გადასახდელები - მათ შორის:	53,152.20	44,173.10	49,282.80	39,694.37
შრომის ანაზღაურება	17,651.00	16,443.00	17,338.00	16,351.00
საქონელი და მომსახურება	17,163.15	15,790.81	19,289.91	15,286.89
გრანტები	3,030.00	3,027.98	40.00	29.05
სოც. უზრუნველყოფა	700.00	577.00	750.00	750.00
სხვა ხარჯები ⁶	4,725.00	4,713.12	5,752.00	5,690.27
არაფინანსური აქტივების ზრდა ⁷	9,583.05	3,392.30	5,812.55	1,532.01
ვალდებულების კლება	300.00	228.95	300.00	55.08
ნაშთი პერიოდის ბოლოს				15,322.8

შემოსავლების ნაწილში საჯარო რეესტრის სამეურნეო ოპერაციები ძირითადად მოიცავს კანონმდებლობით⁸ განსაზღვრული სარეგისტრაციო მომსახურებიდან, საბანკო დეპოზიტებზე განთავსებულ თავისუფალ სახსრებზე საპროცენტო და სხვა ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებს.

⁴ კომერციული ბანკებისა და სხვა მეწარმე სუბიექტების სახით, რომლებზეც დელეგირებულია სააგენტოს მომსახურების ოფისის ფუნქციები, რაც მომხმარებლის კომფორტზეა მიმართული (პრინციპი - „შენს სახლთან ახლოს“).


⁵ დაგეგმილი იყო სიპო- აღსრულების ეროვნული ბიუროდან 500.0 ათასი ლარის მიღება.

⁶ სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებით დაკისრებული სააღსრულებო ხარჯი, პერსონალისა და სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯი, გადასახადები, მოსაკრებლები.

⁷ გადასახდელების ნაწილში, 2016 წელს დაზუსტებული გეგმის შემცირება წინა წელთან შედარებით, ძირითადად გამოწვეულია „არაფინანსური აქტივების ზრდას“ მუხლით 3,770.5 ათასი ლარის შემცირებით და საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე 3 მლნ. ლარის სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართვით (საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 აგვისტოს N1782 განკარგულება).

⁸ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N509 დადგენილება.

დიაგრამა N1 და N2. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული საკასო ხარჯის ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებში



აუდიტის პერიოდში, საჯარო რეესტრს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება არ მიუღია. მიზნობრივი გრანტის ფარგლები („მიწის საინფორმაციო სისტემის სანდოობა საქართველოში“, შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (Sida) 2016 წელს სააგენტოს მიერ გაწეულია 1,099.0 ათასი ლარის ხარჯი. 2015-2016 წლებში „მიწის ბაზრის განვითარება (WB)“ პროგრამით გამოყოფილი კრედიტის ფარგლებში (2,028.4 ათასი ლარი) ათვისებულია - მხოლოდ 40.7 ათასი ლარი⁹.

სერვისების განვითარების სააგენტო

სააგენტოს საკუთარი შემოსავლები და გადასახდელები დამტკიცებულია თავმჯდომარის ბრძანებით.

ცხრილი N2. სერვისების განვითარების სააგენტოს შემოსავლებისა და გადასახდელების შესრულება

ათას ლარებში	2015		2016	
ნაშთი პერიოდის დასაწყისში		2,067.90		124.20
	დაზუსტ. გეგმა	ფაქტი	დაზუსტ. გეგმა	ფაქტი
საკუთარი შემოსავლები - მათ შორის:				
გაწეული მომსახურებიდან	42,000.00	41,112.90	43,660.10	46,416.14
დეპოზიტებზე საპროცენტო შემოსავალი	40,400.00	37,872.36	41,510.10	42,869.01
სხვა ეკონომიკური საქმიანობიდან	52.91	52.95	50.00	135.46
გრანტები (სსიპ- აღსრ-ის ერ.ბიუროდან)	1,547.10	1,737.59	2,100.00	2,498.01
	0.00	1,450.00	0.00	913.67
გადასახდელები - მათ შორის:	45,517.90	43,056.60	44,784.30	44,041.30
შრომის ანაზღაურება	10,880.20	10,873.90	10,281.50	10,278.10
საქონელი და მომსახურება	26,213.20	24,661.20	24,052.40	24,013.80
გრანტები	170.50	0.00	18.90	18.80
სოც. უზრუნველყოფა	355.00	345.90	340.00	286.3
სხვა ხარჯები	5,131.40	5,130.20	2,595	2,594.70
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,727.60	2,013.60	5,936.10	5,291.40
ვალდებულების კლება	40.00	31.80	1,560.70	1,558.10
ნაშთი პერიოდის ბოლოს				2,499.04


შემოსავლების ნაწილში სერვისების განვითარების სააგენტოს სამეურნეო ოპერაციები ძირითადად მოიცავს კანონმდებლობით¹⁰ განსაზღვრული სარეგისტრაციო მომსახურებიდან, საბანკო დეპოზიტებზე განთავსებულ

⁹ აღნიშნული პროექტის დაწყება დამოკიდებული იყო „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ კანონის მიღებაზე, რომელიც მიღებულ იქნა 2016 წლის 3 ივნისს.

¹⁰ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N508 დადგენილება.

თავისუფალ სახსრებზე საპროცენტო და სხვა ნებადართული ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებს¹¹.

დიაგრამა N3 და N4. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული საკასო ხარჯის ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებში



გარდა საკუთარი შემოსავლებისა, სერვისების განვითარების სააგენტო სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2015 წელს დაფინანსებულია - 6,090.7 ათასი, ხოლო 2016 წელს - 7,330.2 ათასი ლარით. ასევე, მიზნობრივი გრანტების ფარგლებში 2015 წელს¹² გაწეულია - 3,649.8 ათასი, ხოლო 2016 წელს - 4,105.0 ათასი ლარის ხარჯი.

შრომის ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია

ცხრილი N3. ინფორმაცია საჯარო რეესტრის შრომის ანაზღაურებაზე (მათ შორის, შტატგარეშე) დამტკიცებული რიცხოვნობისა და ფონდების შესახებ

წელი	საშტატო მომუშავეთა ¹³		შტატგარეშე მომუშავეთა	
	რიცხ-ობა	შრ/ანაზ. ფონდი	რიცხ-ობა	შრ/ანაზ. ფონდი
2015	1088	21,701.00	618	4,310.00
2016	992	17,400.00	590	5,983.10

ცხრილი N4. ინფორმაცია სერვისების განვითარების სააგენტოს შრომის ანაზღაურებაზე (მათ შორის, შტატგარეშე) დამტკიცებული რიცხოვნობისა და ფონდების შესახებ

წელი	საკუთარი ბიუჯეტი				საბიუჯეტო სახსრები		მიზნობრივი გრანტი	
	საშტ.რიცხ-ობა	შრ/ა ფონდი	შტ./გარ. რიცხ-ობა	შტ./გარ. ფონდი	შტ/გარ. რიცხ-ობა	შტ/გარ. ფონდი	შტ/გარ. რიცხ-ობა	შტ/გარ. ფონდი
2015	691	11,189.00	632	5,983.80	60	150.80	85	2,529.90
2016	674	10,759.00	526	6,448.30	240	858.70	105	2,765.90

¹¹ იჯარიდან, ხელშეკრულების საფუძველზე ორგანიზაციებიდან სააგენტოს მონაცემთა ბაზების გამოყენებისათვის მიღებული შემოსავლებიდან.

¹² სხვადასხვა დონორების მიერ 2015 წელს დაფინანსებულია 7, ხოლო 2016 წელს - 10 ქვეპროგრამა/პროექტი.

¹³ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 თებერვლის N131 განკარგულება - 2015 წლის ბიუჯეტების, საშტატო ნუსხებისა და სახელფასო ფონდების საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების თაობაზე. თქვენი მონიშნულია

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაცია

საჯარო რეესტრი

ცხრილი N5. ინფორმაცია საჯარო რეესტრის მიერ სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის ფარგლებში 2015-2016 წლებში განხორციელებული შესყიდვების შესახებ

ათას ლარებში	2015		2016	
გაფორმებული ხელშეკრულებები:	რაოდ-ბა	ღირ-ბა	რაოდ-ბა	ღირ-ბა
ტენდერების საშ-ით გაფორ-ლი ხელშ-ები:	138	6,597	109	4,237
ელექტრონული	125	5,828	94	3,935
კონსოლიდირებული	13	769	15	302
გამარტივებული შესყიდვით	193	8,773	148	9,191
მათ შორის: მთავრობის განკარგულებით	71	8,374	22	8,539
სულ გაფორმებული ხელშეკრულებები	331	15,371	257	13,428

ცხრილი N6. ინფორმაცია საჯარო რეესტრის მიერ გამოცხადებული ტენდერების სტატუსის შესახებ

ათას ლარებში	2015		2016	
ტენდერის სტატუსი	რაოდ-ბა	სავარ. ღირ-ბა	რაოდ-ბა	სავარ. ღირ-ბა
სულ	156	8,332	128	4,789
არ შედგა	22	1,201	19	187
უარყოფ. შედეგით დასრულებული	4	988	11	141
შეწყვეტილი	5	315	4	526
ხელშეკრულება დადებულია	125	5,828	94	3,935

ცხრილი N7. ინფორმაცია კონკურენციის გარეშე და უშედეგოდ დასრულებული ტენდერების შესახებ

დასახელება/სტატუსი	2015	2016	სულ
ტენდერების მთლიანი რაოდენობა	156	128	284
უშედეგოდ დასრულებული	31	34	65
კონკურენციის გარეშე (1 პრეტენდენტი)	63	26	89

სერვისების განვითარების სააგენტო

ცხრილი N8. ინფორმაცია სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის ფარგლებში 2015-2016 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ათას ლარებში	2015		2016	
გაფორმებული ხელშეკრულებები:	რაოდ-ბა	ღირ-ბა	რაოდ-ბა	ღირ-ბა
ტენდერის საშუალებით. მათ შორის:	134	4,830	135	6,885
ელექტრონული	124	4,181	112	6,652
კონსოლიდირებული	10	649	23	233
გამარტივებული შესყიდვით მათ შორის:	283	11,994	152	7,716
მთავრობის განკარგულებით	94	10,053	7	3,463
სულ გაფორმებული ხელშეკრულებები	417	16,824	287	14,601

ცხრილი N9. ინფორმაცია სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გამოცხადებული ტენდერების სტატუსის შესახებ

ათას ლარებში	2015		2016	
ტენდერის სტატუსი	რაოდ-ბა	სავ. ღირ-ბა	რაოდ-ბა	სავ. ღირ-ბა
სულ	149	5,297	147	8,909
არ შედგა	18	686	16	377
უარყოფითი შედეგით დასრ-ლი	6	390	15	956
შეწყვეტილი	1	40	4	924
ხელშეკრულება დადებულია	124	4,180	112	6,652

ცხრილი N10. ინფორმაცია კონკურენციის გარეშე და უშედეგოდ დასრულებული ტენდერების შესახებ

დასახელება/სტატუსი	2015	2016	სულ
ტენდერების მთლიანი რაოდენობა	149	147	296
უშედეგოდ დასრულებული	25	35	60
კონკურენციის გარეშე (1 პრეტენდენტი)	39	43	82

2. აუდიტის მიგნებები


2.1 აუდიტის ობიექტებსა და იუსტიციის სახლს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების ფასწარმოქმნის პრინციპები დადგენილი არ არის

აუდიტის ობიექტების დაფინანსების წყაროა საკუთარი შემოსავლები, რომლის სათანადოდ დაგეგმვა და განკარგვა აუდიტის ობიექტებისთვის საკვანძო საკითხს წარმოადგენს, ვინაიდან საკუთარი შემოსავლებით ხდება აუდიტის ობიექტების ძირითადი ფუნქციების განხორციელება და მათი შემდგომი განვითარება (სხვადასხვა სერვისის დანერგვა/გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურის შექმნა). შესაბამისად, მნიშვნელოვანია შემოსავლების ოპტიმალური დაგეგმვა და განკარგვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია აუდიტის ობიექტების მიერ ხელშეკრულებების გაფორმებისას დადგენილი იყოს სათანადო სატარიფო პოლიტიკა, რაც მათ საშუალებას მისცემს სწორად და თანმიმდევრულად განკარგონ შემოსავლები და მიღებული სარგებელი საკუთარ განვითარებას მოახმარონ.

აუდიტის სამსახურმა შეისწავლა 2015-2016 წლებში ადმინისტრაციული მომსახურების შესყიდვაზე, აუდიტის ობიექტებსა და იუსტიციის სახლს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძვლიანობისა და სარგებლიანობის საკითხები. შედეგად გამოვლინდა, რომ იუსტიციის სახლისთვის გადასახდელი თანხების ფასწარმოქმნის საფუძვლები დადგენილი არ არის. კერძოდ, არ არის განსაზღვრული გაწეული მომსახურების ტარიფები ან/და სუბსიდირების სახით იუსტიციის სახლისთვის გადასახდელი თანხა.

დიაგრამა N5: აუდიტის ობიექტების მიერ ადმინისტრაციული მომსახურების ხელშეკრულებების ფარგლებში იუსტიციის სახლისთვის გადახდილი თანხები



საჯარო რეესტრისა და სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებების ფარგლებში განხორციელებული ტრანზაქციების რაოდენობა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილებზე.

ცხრილი N11. საჯარო რეესტრის მიერ განხორციელებული სერვისების/ტრანზაქციების რაოდენობა

N	პროგრამის დასახელება	მ.შ. სერვ-ის რაოდ-ბა	2015-ტრანზ. რაოდ	2016-ტრანზ. რაოდ	სულ
1	უძრავი ქონება	119	753,400	914,382	1,667,782
2	სამეწარმეო რეესტრი	29	124,596	113,980	238,576
3	ევ. საქმიანობათა რეესტრი	6	0	6,295	6,295
4	ყადაღა - გირავნობა	18	451,694	461,072	912,766
5	მისამართების რეესტრი	11	11,195	16,813	28,008
6	ტექნიკური	8	105,583	147,763	253,346
7	გირავნობა - ლიზინგი	9	61,011	83,707	144,718
8	საბანკო გარანტიის რეგისტრაცია	1	10,757	12,231	22,988
9	პოლიტ-რი გაერთ - ების რეესტრი	4	-	22	22
10	საკადასტრო ინფ. კანცელარია	2	115,860	94,153	210,013
	სულ	207	1,634,096	1,850,418	3,484,514

ცხრილი N12. სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებული სერვისების/ტრანზაქციების რაოდენობა

N	პროგრამის დასახელება	მ.შ. სერვ. რაოდ-ბა	2015-ტრანზ. რაოდ-ბა	2016-ტრანზ. რაოდ-ბა	სულ
1	აპოსტილი/ლეგალიზ. და განათლება	6	68,449	68,876	137,325
2	მოქალაქეობა/მიგრაცია	25	48,083	37,549	85,632
3	პირადობის დადასტურება	37	987,829	1,162,035	2,149,864
4	სამოქალაქო აქტები	30	482,604	512,568	995,172
	სულ	98	1,586,965	1,781,028	3,367,993

სერვისების განვითარების სააგენტოს შემთხვევაში, თავდაპირველად 2015 წლის მომსახურებისთვის სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 10.0 მლნ ლარი¹⁴, ხოლო, 2015 წლის 31 ივლისის განხორციელებული ცვლილებით, სახელშეკრულებო ღირებულება შემცირდა 8.3 მლნ ლარამდე¹⁵. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ 2016

¹⁴ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 24 დეკემბრის N2406 განკარგულება. 2014 წლის 31 დეკემბრის N02/10/15-20 ხელშეკრულება. (მომსახურების ყოველთვიური ღირებულება შეადგენდა 833.3 ათას ლარს).

¹⁵ მომსახურების ყოველთვიური ღირებულება - 500.0 ათას ლარამდე.

წელს, წინა წელთან შედარებით სერვისების განვითარების სააგენტოს უფლებამოსილებების (მომსახურებების) და იუსტიციის სახლის მიერ განსახორციელებელი მოქმედებების რაოდენობა გაზრდილია, სახელშეკრულებო ღირებულება კიდევ შემცირებულია და შეადგინა 2.6 მლნ ლარი¹⁶.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულებების ფარგლებში არ არის დადგენილი სატარიფო პოლიტიკა. შესაბამისად, არცერთი სააგენტოს შემთხვევაში, მიღება-ჩაბარების აქტებს არ ახლავს ადმინისტრაციული მომსახურებისთვის გაწეული ხარჯის ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა (კალკულაცია). არსებული სქემით იუსტიციის სახლისთვის თანხების გადახდა წარმოადგენს იუსტიციის სახლის სუბსიდირებას, თუმცა არც სუბსიდირების წესი და კრიტერიუმები დადგენილი არ არის.

ფასწარმოქმნის პრინციპების განსაზღვრა მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სამინისტროსთვისაც. აღნიშნულს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ 2014 წელს¹⁷ შპს „სინერჯი ჯგუფთან“ გაფორმდა ხელშეკრულება სატარიფო პოლიტიკის შესამუშავებლად. ხელშეკრულების ფარგლებში ჩატარებული სამუშაოს შესაბამისად უპირატესობა მიენიჭა ფასის განსაზღვრის ტრანზაქციებზე დაფუძნებულ სქემას¹⁸. თუმცა, შპს „სინერჯი ჯგუფის“ საკონსულტაციო წინადადებები არ გათვალისწინებულა.

აუდიტის ობიექტების განმარტებით, „არსებული ფიქსირებული სქემით ანაზღაურება ახსნილია ძირითადად მომსახურების ფარგლებში გასაცემი მუდმივად მზარდი სერვისების შინაარსის და მოცულობის ცვალებადობით, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია შემსყიდველი ორგანიზაციის პრიორიტეტებსა და ფინანსურ შესაძლებლობებზე“. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ აუდიტის ობიექტების კონკრეტულ მომენტში არსებული ფინანსური შესაძლებლობებით და ასევე სერვისებზე დროის გარკვეულ მონაკვეთში არსებული მზარდი მოთხოვნების გამო (მაგალითად, მოქალაქეებისთვის არსებული უფასო აქციები) ვერ ხდება ტრანზაქციებზე დაფუძნებული სქემით იუსტიციის სახლისთვის თანხების გადახდა.

აუდიტის სამსახური მიიჩნევს, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვანია მოხდეს ხელშეკრულების ფარგლებში სატარიფო პოლიტიკის განსაზღვრა, რომელიც გაანგარიშდება გარკვეულ ფაქტორებზე დაყრდნობით (მაგალითად, კომბინირებული ფაქტორები: სააგენტოების შემოსავალი, ტრანზაქციების რაოდენობა, სუბსიდირების წილი). ვინაიდან წლიდან წლამდე შესაძლოა სერვისებისა და ტრანზაქციების რაოდენობა იყოს ცვალებადი (მათ შორის, პერიოდულად განხორციელებული უფასო აქციების გათვალისწინებით) მნიშვნელოვანია იუსტიციის სახლისთვის მომსახურებაში გადახდილი თანხები იყოს აუდიტის ობიექტების მიერ მიღებული სარგებლის თანაბარზომიერი.

დასკვნა

იუსტიციის სახლის მიერ აუდიტის ობიექტებისთვის გაწეულ მომსახურებაში გადასახდელი თანხის გაანგარიშების წესი არ არის დადგენილი. გამომდინარე იქიდან, რომ სსიპ-ების ძირითადი დაფინანსების წყაროს საკუთარი შემოსავლები წარმოადგენს, მიღებული შემოსავლები უნდა მიიმართოს სსიპ-ების მიზნების, ფუნქციების განხორციელებისთვისა და შემდგომი განვითარებისთვის. ამ მიზნით მნიშვნელოვანია იუსტიციის სახლთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში სატარიფო პოლიტიკის განსაზღვრა, რაც აუდიტის ობიექტებს საშუალებას მისცემს სწორად დაგეგმონ და მართონ საკუთარი შემოსავლები.

¹⁶ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N2849 განკარგულება. 2015 წლის 31 დეკემბრის N02/08/16-23 ხელშეკრულება.

¹⁷ SPA140010485. 2014 წლის 2 მაისის ხელშეკრულება N111.

¹⁸ რაც გულისხმობს, რომ მოხდეს: თითოეული სერვისის მიწოდებისათვის თანამშრომელთა საჭირო საშუალო დროის გამოთვლა; მოხდეს თანამშრომლის ერთ წუთზე გარკვეული საფასურის დადება; თითოეულ ტრანზაქციაზე მოხდეს ღირებულების დათვლა (დრო x ფასზე); მოხდეს ერთ ტრანზაქციაზე ფიქსირებული წინასწარ შეთანხმებული თანხის გადახდა იუსტიციის სახლისთვის.

რეკომენდაცია

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საჯარო რეესტრსა და სერვისების განვითარების სააგენტოს

სააგენტოების მიერ მომსახურებაში გადახდილი ფასისა და მიღებული სარგებლის ადეკვატურობის უზრუნველსაყოფად, იუსტიციის სახლის ჩართულობით, შემუშავდეს სამართლიანი სქემა იუსტიციის სახლისთვის თანხის ასანაზღაურებლად.

2.2 უშედეგოდ და კონკურენციის გარეშე დასრულებული ტენდერები

აუდიტის ობიექტებში გამოცხადებული ტენდერების საშუალოდ 22% უშედეგოდ, ხოლო 28% კონკურენციის გარეშე სრულდება, რაც შესყიდვების წინამოსამზადებელი სამუშაოების არასათანადო წარმართვას უკავშირდება. შესყიდვის წინამოსამზადებელი სამუშაოები მოიცავს ბაზრის კვლევას: შესასყიდი საქონლის/მომსახურების ტექნიკური პარამეტრების, მახასიათებლების ჩამოყალიბებას და სავარაუდო ღირებულების დადგენას. შესასყიდი პროდუქტის მისაღები ხარისხი და ფასი დამოკიდებულია შესყიდვის წინა სამუშაოების ადეკვატურ წარმართვაზე. აუდიტის შედეგად ნაკლოვანებები გამოვლინდა აღნიშნულ პროცესში, კერძოდ:

შესასყიდი საქონლის ტექნიკური მახასიათებლების განსაზღვრის ნაკლოვანება

სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ, ხანძარსაქრობი სისტემის შესასყიდად სულ გამოცხადდა 3 ტენდერი.

3-ე მათგანში მნიშვნელოვანად განსხვავდება სატენდერო მოთხოვნები, თუმცა მიუხედავად განსხვავებული მოთხოვნებისა და პრეტენდენტების მიერ მეორე ტენდერში წარმოდგენილი დაბალი ფასისა, ტენდერის სავარაუდო ღირებულება არ შეცვლილა.

2015 წლის 1 ივნისსა და 22 სექტემბერს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერები¹⁹ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით (შესაბამისად, 153.3 ათასი და 153.5 ათასი ლარი) - დასრულდა უარყოფითი შედეგით. ორივე ტენდერში მონაწილეობდა ორი პრეტენდენტი. ტენდერების უშედეგოდ დასრულება განაპირობა პრეტენდენტების დისკვალიფიკაციამ სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო. სატენდერო დოკუმენტაციით ჩამოყალიბებული არაერთგვაროვანი სატენდერო მოთხოვნები დასტურდება შესყიდვების სისტემის კითხვა-პასუხის მოდულის მეშვეობით პრეტენდენტთა მიერ დასმული შეკითხვებით. პრეტენდენტების მიერ ბევრი კითხვაა დასმული გამოცხადებულ მე-2 ტენდერში²⁰, სადაც პრეტენდენტმა სავარაუდოდ ვერ გაიგეს სატენდერო დოკუმენტაციის შინაარსი და სატენდერო წინადადება დაბალი ღირებულებით წარმოადგინეს. ტენდერების მიმდინარეობისას სატენდერო მოთხოვნებისა და ფასების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში:

¹⁹ SPA1150015481, SPA150025669.

²⁰ 14 შეკითხვა. მაგალითად: „გთხოვთ დააკონკრეტოთ რის გამო ითხოვთ 500 მისამართზე გათვლილ მართვის პულტს, როდესაც მაქსიმალური რაოდენობა რაც შეიძლება გამოყენებული იყოს თქვენს შემთხვევაში, არის 20-30 მისამართი. მისაღები იქნება თუ არა, რომ შემოგთავაზოთ მართვის პულტი, რომელიც გათვლილი იქნება არანაკლებ 60 მისამართზე?“, „მონაცემთა ძირითადი ცენტრისთვის და მონაცემთა სარეზერვო ცენტრისთვის უნდა დაყენდეს ცალ-ცალკე საკონტროლო პანელები, რომლებიც განკუთვნილი იქნება მხოლოდ ხანძარსაქრობი სისტემის მართვისთვის, თუ უნდა დაყენდეს ერთი საერთო საკონტროლო პანელი, ორი ურთიერთდამოუკიდებელი ხანძარსაქრობი სისტემის მართვის საშუალებით?“, და ა.შ.

ცხრილი N13. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების მიერ დაფიქსირებული ფასები (ლარებში)

გამოცხადების თარიღი და საფ.ღირებულება	პრეტენდენტები	პრეტ. დაფიქს. საბოლოო ფასი	ტენდერის სტატუსი
SPA1150015481 01.06.2015 - 153,335.00	შპს „ელ+“	153,335.00	დასრულდა უარყოფითი შედეგით
	შპს „იუ-ჯი-თი“	151,000.00	
SPA150025669 22.09.2015 - 153,500.00	შპს „ელ+“	90,000.00	დასრულდა უარყოფითი შედეგით
	შპს „ნოტექი“	88,000.00	
SPA150035540 07.01.2016 - 151,190.00	შპს „ეი-ვი-ბი“	151,190.00	ხელშ. დადებულია- გამარჯვებული-შპს „ელ+“
	შპს „ელ+“	149,999.00	

ცხრილი N14. სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი ტექნიკური მახასიათებლები

SPA1150015481 პრეტენდენტი: „შპს ელ+“, შპს „იუ ჯი თი“ სტატუსი : დასრულდა უარყოფითი შედეგით	SPA150025669 პრეტენდენტი: „შპს ელ+“, შპს „ნოტექი“ სტატუსი : დასრულდა უარყოფითი შედეგით	SPA150035540 პრეტენდენტი: შპს „ელ+“, შპს „ეივიბი“ სტატუსი: გაიმარჯვა შპს ელ+ მა
ISO14001 სერტიფიკატის წარმოდგენა	მოთხოვნა ამოღებულია	მოთხოვნა ამოღებულია
აირით ქრომა FM200 (HFC-227ea) (ქრომის აგენტი HFC-227ea წარმოებული უნდა იყოს DuPont-ის მიერ) FM-200® (DuPont™) APPROVALS UL Ex4623 / FM 3024180	აირით ქრომა FM200 (HFC-227ea)	აირით ქრომა
შემწოვი აგრეგატის 2 მილიანი სახანძრო სისტემის მმგრძნობელობა უნდა აკმაყოფილებდეს ISO 11690-1.	მოთხოვნა ამოღებულია	მოთხოვნა ამოღებულია
სისტემის საკონტროლო პანელი: სარეზერვო კვებით (აკუმლატორი) უნდა აკმაყოფილებდეს: DIN, VDE ნორმებს. EN 50130-4 (EMC) და EN 61000-6-2 ასევე ნორმებს: EN 12094-1 and VdS 2496.	მოთხოვნა ამოღებულია	მოთხოვნა ამოღებულია
სამისამართო მარყუჟის ტიპის სისტემა მინიმუმ, 500 მმისამართზე გათვლილი, TCP/IP პროტოკოლის მხარდაჭერით	მოთხოვნა იგივე	მოთხოვნა ამოღებულია

2015 წლის 1 ივნისსა და 22 სექტემბერს გამოცხადებული ტენდერების უშედეგოდ დასრულების შემდგომ, სააგენტოს ტენდერი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის შესყიდვაზე, 2015 წლის შესყიდვების ფარგლებში აღარ გამოუცხადებია. 2016 წლის 7 იანვარს კვლავ გამოცხადდა ტენდერი, წინა ტენდერებში არსებული ზედმიწევნით დეტალურად განსაზღვრული სატენდერო მოთხოვნების გარეშე და გაფორმდა ხელშეკრულება შპს „ელ+“-სთან. შედეგად, მოუშადადებელმა ტექნიკურმა მახასიათებლებმა განაპირობა ტენდერების უშედეგოდ დასრულება, რის გამოც 2015 წელს შესყიდვა სააგენტომ საერთოდ ვერ განახორციელა.

არაპროპორციული სატენდერო მოთხოვნა - სატრანსპორტო საშუალებების ტექნომსახურების შესყიდვა

საჯარო რეესტრის მიერ სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების შესყიდვისას, სატენდერო დოკუმენტაციაში სერვისცენტრის აღჭურვილობა განსაზღვრულია შემდეგი პარამეტრებით: „სერვისცენტრში დამონტაჟებული უნდა იყოს ავტომატური ამწევი დანადგარი (4-ტონიანი) არანაკლებ 10 ცალი, მომსახურება გაწეულ უნდა იქნეს დაუყოვნებლივ, რიგგარეშე“.

იმის გათვალისწინებით, რომ 2015 წელს საჯარო რეესტრის ბალანსზე ირიცხებოდა 22 მოქმედი სატრანსპორტო საშუალება, აღნიშნული სატენდერო მოთხოვნების პროპორციულობა არ არის დასაბუთებული. კერძოდ, ტენდერების შესწავლისას გამოვლინდა, რომ განსაზღვრულ მოთხოვნას მხოლოდ 2 კომპანია აკმაყოფილებს, რაც სხვა (შედარებით მცირე) კომპანიებისთვის კონკურენციის შემზღუდველ ფაქტორს წარმოადგენს.

ცხრილი N15. ინფორმაცია 2014-2016 წლებში ტენდერებში მონაწილე პრეტენდენტების თაობაზე

გამოცხადების თარიღი და პრეისკურანტის საფიქსურება	პრეტენდენტები	პრეტ. დაფიქს. საბოლოო ფასი	გამარჯვ. პრეტ.ფასი
SPA140030647 30.12.2014 - 152,434	შპს „თეგეტა მოტორსი“	152,434.00	შპს „მათემოტორსი“ - 103,999.50
	შპს „მათემოტორსი“	103,999.50	
SPA150033572 09.12.2015 - 145,574	შპს „მათემოტორსი“	114,966.00	შპს „სითი მოტორსი“ - 114,500.00 (ქვეკონტრაქტორი - შპს „თეგეტა მოტორსი“)
	შპს „სითი მოტორსი“	114,500.00	
SPA160008066 09.03.2016 - 35,442	შპს „თეგეტა მოტორსი“	35,442.00	შპს „ავტოლიდერი“ - 26,965 (ქვეკონტრაქტორი - შპს „თეგეტა მოტორსი“)
	შპს „პრემიუმ ავტო“	27,650.00	
	შპს „ავტოლიდერი“	26,966.00	
	შპს ავტოსერვისი „დიდი დილომი“	26,965.00	
	შპს „მაქსსერვისი“	13,702.00	

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2015 წლის 9 დეკემბერს გამოცხადებულ ტენდერში²¹ გაიმარჯვა შპს „სითი მოტორსმა“, რომელმაც ქვეკონტრაქტორად წარმოადგინა წინა ტენდერში მონაწილე კომპანია შპს „თეგეტა მოტორსი“. ასევე, 2016 წლის 9 მარტს გამოცხადებულ ტენდერში²² გამარჯვებულმა შპს „ავტოლიდერმა“, ქვეკონტრაქტორად წარმოადგინა იმავე ტენდერში მონაწილე შპს „თეგეტა მოტორსი“, რომელმაც ყველაზე მაღალი ფასი (35.4 ათასი ლარი) დააფიქსირა (რაც სავარაუდო პრეისკურანტის ღირებულებაზე 23%-ით ნაკლებია). „ავტოლიდერის“ და „თეგეტა მოტორსის“ ხელშეკრულებაში დაფიქსირებულია, რომ „მომსახურების ღირებულების ზღვრული თანხა განსაზღვრება მხარეთა სიტყვიერი შეთანხმებით“, შესაბამისად, ვერ დგინდება თუ რა თანხა გადაუხადა ავტოლიდერმა „თეგეტა მოტორსს“ ქვეკონტრაქტის შესრულების მიზნით.

ზემოაღნიშნული გარემოებები იძლევა იმ მოსაზრების გამოთქმის საფუძველს, რომ სატენდერო პირობებით განსაზღვრული ტექნიკური მოთხოვნების დაკმაყოფილება საქართველოში მხოლოდ 2 კომპანიას შეუძლია (შპს „თეგეტა მოტორსი“ და შპს „მათემოტორსი“).

აღნიშნული მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში, ტენდერში მონაწილეობის საშუალება (ქვეკონტრაქტორის გარეშე) სხვა კომპანიებსაც მიეცემა, შესაბამისად, გაიზრდება კონკურენცია და შემცირდება მომსახურების შესყიდვაში გადახდილი თანხები.

შესყიდვების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრაში არსებული ხარვეზები

ტენდერების წინამოსამზადებელი სამუშაოების ნაკლოვანებაზე, ასევე მიუთითებს სავარაუდო ღირებულების განსაზღვრაში არსებული ხარვეზები.

შესყიდვის შედეგად დაფიქსირებული მაღალი ეკონომიები (20%-დან 70%-ის ფარგლებში - ორივე აუდიტის ობიექტის შემთხვევაში), ძირითადად შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის ნაკლოვანებას უკავშირდება. აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტების მიხედვით, შესყიდვის ობიექტის თვითღირებულება გაცილებით დაბალია პრეტენდენტების მიერ დაფიქსირებულ სატენდერო წინადადების საბოლოო ფასზეც.

²¹ SPA150033572.

²² SPA160008066.

ცხრილი N16. სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის ნაკლოვანება

	SPA N	სავარ. ღირ-ბა (ათას ლარებში)	ეკონომია	ფასწ. დოკ.	ტენდერის შედეგი
1	SPA150014427	47.20	58.50%	69.10%	შეწყდა
	SPA150019810	19.59	12.70%	0.00%	ხელახალი ტენდერი
2	SPA150014428	37.44	67.90%	81.00%	დისკვ. პრეტ-ტი
	SPA150014428	37.44	62.00%	79.00%	გამარჯვებული
3	SPA150023311	31.74	33.86%	62.00%	გამარჯვებული
4	SPA160009809	215.34	45.30%	54.10%	გამარჯვებული

ცხრილში, პირველ პოზიციაზე მითითებული საჯარო რეესტრის მიერ გამოცხადებული ტენდერების მიხედვით, შესასყიდი ტონერის კატრიჯების სავარაუდო ღირებულების დადგენა მოხდა შეწყვეტილ ტენდერში დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის (შპს „აცეპტ“) მიერ ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე, რომლის დისკვალიფიკაციის მიზეზი გახდა ინვოისის წარმოდგენა უცხოურ ენაზე. ხელახალი SPA150019810 ტენდერის შემთხვევაში, სავარაუდო ღირებულებად გათვალისწინებულია შეწყვეტილ ტენდერში შპს „აცეპტ“-ის მიერ დაფიქსირებული ფასი - 19.59 ათასი ლარი.

მნიშვნელოვანია შემსყიდველმა გაითვალისწინოს ინვოისში დაფიქსირებული ფასები, თუმცა ბაზრის მოკვლევა უნდა ხდებოდეს შესყიდვების მოსამზადებელ ეტაპზე (პოტენციური მიმწოდებლების გამოკითხვით და წინა ტენდერების გამოცდილების შესაბამისად) და არა ტენდერის გამოცხადებისა და უშედეგოდ დასრულების შემდგომ.

ობიექტურობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ბაზრის კვლევის ეტაპზე პოტენციური პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი სავარაუდო ღირებულებები მნიშვნელოვნად აღემატება ტენდერში დაფიქსირებულ ფასებს. მაგალითად: SPA160009809 ტენდერის ბაზრის კვლევის ეტაპზე გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სავარაუდო ღირებულება 39%-ით აღემატება ტენდერში დაფიქსირებულ საბოლოო ფასს.

ასევე, სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის ნაკლოვანებაზე მიუთითებს საჯარო რეესტრის მიერ სანიველირე ნიშნების მოკვლევის მომსახურების შესყიდვის მიზნით, 2015 წლის 29 იანვარს ერთდროულად გამოცხადებული 6 ელექტრონული ტენდერი, 186.71 ათასი ლარის ჯამური სავარაუდო ღირებულებით. ექვსივე ტენდერში ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ფასით გაიმარჯვა შპს „იზოგრაფიკა“.

ცხრილი N17. სანიველირე ნიშნების მოკვლევის მომსახურების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერები (ლარებში)

SPA N	სავ. ღირ.	ხელშ. ღირ.	%-ეკონ.
SPA150002846 ²³	36,395	12,499	65.7
SPA150002847 ²⁴	19,600	12,499	36.2
SPA150002852 ²⁵	36,010	10,300	71.4
SPA150002853 ²⁶	27,815	9,440	66.1
SPA150002848 ²⁷	35,275	9,900	71.9
SPA150002851 ²⁸	31,615	9,999	68.4

²³ ანაკლია-ზუგდიდი-სენაკი-სამტრედია-სუფსა-ფოთი; ფოთი-სენაკის მონაკვეთზე.

²⁴ უღელტეხილი ბოლშაქოს ღელე-მდ. ასსას მონაკვეთზე.

²⁵ თბილისი-ქსანი; თბილისი-მანგლისი; თბილისი-მარნეული-სადახლო; მარნეული-საფარლო; საფარლო-დმანისი და საფარლო-საათლო მონაკვეთზე.

²⁶ კახეთის რეგიონის ტერიტორიაზე.

²⁷ ძველი სენაკი-ზანდა-სამტრედია-ზესტაფონი-საჩხერე; ხონი-ქუთაისი-ამბროლაური-ონი-შოვი.

²⁸ ურეკი-ბათუმი-ქედა-გოდერძის უღელტეხილი-უდე-ზეკარის უღელტეხილი -ბაღდათი-ჩოხატაურის მონაკვეთზე.

იზოგრაფიკთან გაფორმებული ხელშეკრულებების დასრულების შედეგად დაფიქსირებული ეკონომია 36%-დან 72%-ის ფარგლებში მერყეობს (ხელშეკრულების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 64.6 ათასი ლარი).

დასკვნა

ტენდერის გამოცხადებამდე შემსყიდველების მიერ არასათანადოდ მომზადებული ტექნიკური მახასიათებლები, ასევე სატენდერო დოკუმენტაციაში არასაჭირო და არაპროპორციული სატენდერო მოთხოვნების განსაზღვრა და ისეთი სატენდერო მოთხოვნების ჩამოყალიბება, რომელიც სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა,²⁹ შესყიდვის არაეკონომიურად განხორციელების რისკებს შეიცავს.

ბაზრის არასათანადოდ შესწავლაზე მიუთითებს სხვადასხვა ფაქტები, როდესაც შესყიდვის სავარაუდო ღირებულებისა და ტექნიკური მახასიათებლების მოკვლევა გარკვეულ შემთხვევებში ხდება ტენდერის გამოცხადებისა და უშედეგოდ დასრულების შემდეგ, დისკვალიფიცირებული ან ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტების, ან მათ მიერ წარმოდგენილი ტექნიკური პირობების საფუძველზე.

მომზადებული ტენდერები შეიცავს როგორც შესყიდვის პროცესის გაჭიანურების, ასევე შესყიდვის არაეკონომიურად განხორციელების რისკებს.

რეკომენდაცია - საჯარო რეესტრისა და სერვისების განვითარების სააგენტოს

- კონკურენტუნარიანი და ეკონომიური ტენდერების ჩატარების მიზნით, მნიშვნელოვანია სათანადოდ და დროულად ჩატარდეს შესყიდვის წინამოსამზადებელი სამუშაოები. კერძოდ, სააგენტოებმა უზრუნველყონ ტექნიკური მახასიათებლებისა და სავარაუდო ღირებულების ოპტიმალური განსაზღვრა ბაზრის კვლევის სათანადო მეთოდების გამოყენებით.
- სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერებში, საჯარო რეესტრის სააგენტომ ჩამოაყალიბოს საჭიროების თანაბარზომიერი სატენდერო მოთხოვნები, რომელიც გამორიცხავს ტენდერში კონკურენციის შეზღუდვას.

2.3 სერვისების სააგენტოს ქ. თბილისის არქივის შენობის ექსპლუატაციაში მიღებისა და კონსტრუქციული ნაწილის ნაკლოვანება

სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ ქ. თბილისის არქივის შენობის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერის³⁰ საფუძველზე, გამარჯვებულ პრეტენდენტთან, შპს „ერ-თი-ჯი“-თან გაფორმდა ხელშეკრულება³¹, რომლის თანახმად, მიმწოდებელს, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 8 აგვისტოს ჩათვლით, უნდა შეესრულებინა ზემოაღნიშნული სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენდა 2,795.0 ათას ლარს.

მიმწოდებელმა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ვერ უზრუნველყო ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება, რის გამოც მას მხარეთა შეთანხმებით გაეზარდა როგორც ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადა³², ასევე, ხელშეკრულების მოქმედების ვადა³³. ამასთანავე, მიმწოდებელმა შეასრულა 2,510.6 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები (ხელშეკრულების საერთო ღირებულების 90%)³⁴.

²⁹სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-11 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნა.

³⁰ SPA130025232. გამოცხადდა 2013 წლის 13 დეკემბერს - 3, 565.5 ათასი ლარის სავარაუდო ღირებულებით. მონაწილეობდა 8 პრეტენდენტი.

³¹ 2014 წლის 10 თებერვალის N02/02/14-41 ხელშეკრულება.

³² 2014 წლის 4 აგვისტოს შეთანხმებით.

³³ 2014 წლის 26 ნოემბერის, 2015 წლის 27 თებერვლის, 30 აპრილის, 29 მაისის, 29 ივნისისა და 30 ივლისის შეთანხმებებით.

³⁴ რაც დასტურდება მხარეთა შორის შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით.

ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულებისთვის, მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლო³⁵ 230.7 ათასი ლარის ოდენობით და სააგენტომ კომპანიასთან ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება³⁶.

შენობის ექსპერტიზისა და ექსპლუატაციაში მიღების პროცესი წარმართა შემდეგნაირად:

- ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, სააგენტომ მიმართა ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შესრულებული ლითონკონსტრუქციების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
- ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 3 ნოემბრის დასკვნის³⁷ მიხედვით, ზემოაღნიშნული შენობის ლითონის კონსტრუქციების ხილული ნაწილის კვანძები შესრულებულია პროექტისა და სამშენებლო ნორმების დარღვევით. „ერთ-ერთი სვეტის კვანძზე არ არის მოწყობილი ჭანჭიკები და ლითონის კოჭის ჩამაგრების კვანძი შესრულებულია წერტილოვანი შედუღებით, რაც საფრთხის შემცველია“.
- სერვისების განვითარების სააგენტომ 2015 წლის 16 ნოემბერს მიმართა³⁸ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს, შენობის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე.
- 2015 წლის 9 დეკემბრის (N8-2003/07 ბრძანება) ზედამხედველობის სამსახურის წერილით სააგენტოს ეცნობა აღნიშნული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ (უარის საფუძველია მშენებლობის შეუსაბამობა პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანებასთან).
- 2015 წლის 12 დეკემბერს სააგენტომ მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შენობის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ზედამხედველობის სამსახურის ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევების წერილობითი დადასტურების³⁹ მოთხოვნის თაობაზე.
- 2015 წლის 23 დეკემბერის გადაწყვეტილებით: „არქიტექტურის სამსახური ადასტურებს აღნიშნული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე ზედამხედველობის სამსახურის ზემოაღნიშნულ ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ სამშენებლო დარღვევებით განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებითი მოთხოვნებთან შესაბამისობას და მათ დასაშვებობას ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით“.
- 2016 წლის 11 იანვრის დადგენილებით, აღნიშნული შენობის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით განხორციელებისთვის, ზედამხედველობის სამსახურის მიერ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე სააგენტო დაჯარიმდა 3000 ლარით.

³⁵ მიუხედავად წერილობითი გაფრთხილებებისა (NN 01/233773, 01/76462 და 01/153046 წერილები). 2015 წლის 13 ოქტომბრის N01/246741 წერილით. პირგასამტეხლო გადახდილია.

³⁶ ხელშეკრულება შპს „ერ-თი - ჯი“-ის ცალმხრივად შეუწყდა 2015 წლის 13 ოქტომბერს.

წერილი N01/246741 - შპს „ერ-თი-ჯი-ის“ დირექტორს. შპს „ერ-თი-ჯი“-2015 წლის 14 და 16 სექტემბერს დარეგისტრირდა მოვალეთა რეესტრში, რაც ზრდიდა მიმწოდებლის მიერ სამოვალედ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის ალბათობას. ხელშეკრულების შეწყვეტამდე სააგენტოს მიერ შედგენილია ინსპექტირების აქტები (16.09.2015; 23.09.2015; 09.10.2015), სადაც დაფიქსირებულია დარღვევების ჩამონათვალი.

³⁷ 2015 წლის 3 ნოემბრის N5005649315.

³⁸ N82003/07 ელექტრონული განაცხადი.

³⁹ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად, თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტი განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას, თუმცა სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და დამკვეთს უარი ეთქვა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის უკვე განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობასა და მისი დასაშვებობის დადასტურებაზე. დადასტურება ხდება წერილობითი ფორმით. ამავე დადგენილების შესაბამისად, ნებართვის გამცემ ორგანოს უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

- 2016 წლის 2 თებერვალს ზედამხედველობის სამსახურის ბრძანებით შენობა მიიღეს ექსპლუატაციაში.

ზემოაღნიშნულ პროცესში აუდიტის სამსახურმა ნაკლოვანება გამოავლინა შემდეგი მიმართულებით:

არქიტექტურული სამშენებლო დარღვევები (რომელიც გამოვლინდა ზედამხედველობის სამსახურის მიერ და ასევე დაადასტურა არქიტექტურის სამსახურმაც) არ არის კავშირში შენობის კონსტრუქციული ნაწილის დარღვევებთან, რაც ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაშია მოხსენიებული. სერვისების განვითარების სააგენტოს შენობის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე წარდგენილ განაცხადში, თანდართულად არ წარუდგენია ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომელიც იმ პერიოდში მისთვის უკვე ცნობილი იყო (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ⁴⁰ სააგენტოს ექსპერტიზის დასკვნის წარდგენა არც ევალებოდა). სააგენტოს განმარტების მიხედვით, მათ მყისიერად აღმოფხვრეს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაში არსებული „საფრთხის შემცველი“ ხარვეზი, ხოლო დასკვნაში წარმოდგენილი სხვა შეუსაბამოებები ავტომატურად არ მიუთითებს შენობის ექსპლუატაციის საფრთხეზე.

შენობის ექსპლუატაციაში მიღების პროცესში არც ერთ შემთხვევაში არ ფიგურირებს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომელიც შენობის ხარვეზებზე მიუთითებს. ზედამხედველობის სამსახურის სიტყვიერი განმარტებით, მათთვის აღნიშნული დასკვნის შესახებ არ იყო ცნობილი.

თავის მხრივ, ზედამხედველობის სამსახურის დებულების მიხედვით, სამსახური უფლებამოსილია მიიღოს ექსპლუატაციაში მშენებლობადამთავრებული შენობა - ნაგებობები, ასევე, საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით, თუ საჭიროა სპეციალური ცოდნის მქონე პირის მონაწილეობა, მოიწვიოს შესაბამისი ორგანოს სპეციალისტები, ან დამოუკიდებელი ექსპერტები და სპეციალისტები ⁴¹, რაც არ განხორციელებულა.

აუდიტის სამსახურმა ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურებს მიმართა წერილობითი კითხვით, თუ რატომ არ იქნა გამოყენებული ექსპერტების მოწვევის უფლებამოსილება და რა შემთხვევაში დადგებოდა განმცხადებლისათვის (სერვისების განვითარების სააგენტოსთვის) ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მოთხოვნის აუცილებლობა. ასევე, შენობის ექსპლუატაციაში მიღების პროცესში, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მათ ხელთ არსებობის შემთხვევაში, იქონიებდა თუ არა გავლენას აღნიშნული დასკვნა გადაწყვეტილებაზე და მაინც მიიჩნევდნენ თუ არა შენობას ექსპლუატაციისთვის შესაბამისად. აუდიტის სამსახურმა დასმულ კითხვებზე ზედამხედველობის სამსახურისგან ვერ მიიღო კონკრეტული პასუხი, ხოლო არქიტექტურის სამსახურმა წერილზე არ გვიპასუხა.

აუდიტის სამსახურმა ასევე მიმართა ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, რომლის პასუხიდანაც ირკვევა, რომ აღნიშნული შენობის ექსპლუატაციაში მიღება გაუმართლებელია, კერძოდ: „სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს არქივის შენობის მზიდი კონსტრუქციების ცალკეული კვანძები, ვერ აკმაყოფილებენ პროექტითა და სამშენებლო ნორმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ცალკეული კვანძები კი საფრთხის შემცველია. როგორც წესი ასეთი შენობის საექსპლუატაციო მედეგობა შემცირებულია, შესაბამისად, აღნიშნული სახით შენობის ექსპლუატაცია გაუმართლებელია“.

აუდიტის პირველად ანგარიშზე, რომელიც სამინისტროს და სააგენტოს გაეგზავნა 2018 წლის 31 იანვარს, სამინისტრომ წარმოადგინა რიგი არგუმენტები და შპს „ოპტიმუსის“ მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც თარიღდება 2018 წლის 8 თებერვლით.

⁴⁰ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 96-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

⁴¹ მუხლი 3, პუნქტი 1, „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტები.

წარმოდგენილი პასუხის მიხედვით:

- „დაუყოვნებლივ გატარდა ზომები, რათა ის ხარვეზი, რომელიც შესაძლებელია ჩათვლილიყო საფრთხის შემცველად, აღმოფხვრილიყო, რაც განხორციელდა კიდევ ექსპერტიზის დასკვნის მიღების შემდეგ შენობის ექსპლუატაციაში მიღებამდე (ანუ 2015-2016 წლების მიჯნაზე) ამდენად, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ის ვითარება, რაც არსებობდა 2015 წლის 03 ნოემბერს ექსპერტიზის დასკვნის გაცემის მომენტში, განსხვავდებოდა შენობის ექსპლუატაციაში მიღების დროისთვის არსებულისგან“.
- სამინისტროს პასუხის მიხედვით, სამუშაოები ჩატარდა კონკრეტულ კვანძზე, რომელიც ექსპერტიზის მიერ შეფასებული იყო როგორც „საფრთხის შემცველი“.
- ასევე, „ექსპერტიზის შემაჯამებელი შეფასება ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ არსებული შენობა იმჟამად იყო ექსპლუატაციისთვის უვარგისი. ექსპერტიზის პირვალნდელ დასკვნაში ერთადერთი ფრაგმენტი, სადაც აღნიშნულია საფრთხის შესახებ, შეეხება მხოლოდ ერთ სვეტს და ეს ხარვეზი გამოსწორდა იმხანადვე.“

კონკრეტულ კვანძზე ჩატარებულ სამუშაოებს ადასტურებს სამინისტროს მიერ წარმოდგენილი შპს „ოპტიმუსის“ დასკვნაც, რომლის მიხედვითაც:

„ა) სასამართლო ექსპერტიზის 2015 წლის 3 ნოემბრის N006557415 დასკვნაში მოყვანილი ხარვეზებისა და მასში მოცემული ფოტომასალის დღევანდელ მდგომარეობასთან შედარების შემდგომ შემიძლია ვთქვა, რომ დასკვნის ძირითადი შენიშვნები არსებობს იმავე სახით, მათი გაუარესება ან/და სხვა უარყოფითი მოვლენები განვითარებული არ არის.“

ბ) ხარვეზები აღმოფხვრილია დასკვნაში მოყვანილი „საფრთხის შემცველ“ N8 დასურათებულ კვანძში, სადაც კვანძის გადამბის და სიხისტის გაძლიერების მიზნით, დამატებით მოწყობილია ჭანჭიკები.

გ) აღნიშნულ დასკვნაში მოყვანილი ხარვეზები ეხება კონკრეტული ლითონკონსტრუქციების შედუღების შესრულებულ კვანძებს, თუმცა ეს არ არის სახასიათო მთელი შენობისთვის, როგორც ზემოთ აღნიშნე შენობის მზიდ კონსტრუქციებსა და მათ შემადგენელ ელემენტებში არ არის განვითარებული მისი საერთო მდგომარეობისთვის საშიში მოვლენები, კერძოდ ბზარები, ჯდენები, რღვევები და ა.შ. ლითონკონსტრუქციებად გამოყენებულია საკმაოდ მძლავრი მზიდუნარიანობის ნაგლინი ლითონის მასალა. აქედან გამომდინარე შემიძლია ვთქვა, დასკვნაში მოყვანილ ხარვეზებს შენობის, როგორც განვლილი პერიოდის და ასევე მისი შემდგომი ექსპლუატაციისთვის სახიფათო გარემო არ შეუქმნია და არ ქმნის.“

სამინისტროს მიერ შპს „ოპტიმუსის“ ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის შემდგომ, აუდიტის სამსახურმა კვლავ მიმართა ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს კითხვით⁴² და გაუგზავნა მას შპს „ოპტიმუსის“ დასკვნა. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან მიღებული პასუხის თანახმად:

„N006557415 დასკვნაში მითითებული კვანძი (სადაც არ იყო მოწყობილი ჭანჭიკები) ჩამაგრების პრინციპის დარღვევიდან გამომდინარე ქმნიდა ლოკალურ საფრთხეს, თუმცა მხოლოდ მისი გამოსწორებით და აღნიშნული საფრთხის მოხსნით ვერ შეიცვლება მთლიანობაში შენობაში არსებული მდგომარეობა, რაც შექმნილია სხვადასხვა ზონებში პროექტისა და სამშენებლო ნორმების დარღვევით ლითონკონსტრუქციების კვანძების უხარისხო მოწყობით, რის გამოც მისი ექსპლუატაცია არ არის მიზანშეწონილი.“

⁴² „იმ შემთხვევაში თუ კონკრეტული „საფრთხის შემცველი კვანძის“ გამაგრება მოხდა შესაბამისად, ცვლის თუ არა აღნიშნული გარემოება თქვენ მიერ აუდიტის სამსახურისთვის მოწოდებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ შენობის მედეგობა შემცირებულია და მისი ექსპლუატაციაში მიღება გაუმართლებელია?“

სერვისების სააგენტომ 2015 წლიდან ვერ უზრუნველყო ლითონკონსტრუქციის ხარვეზების გამოსასწორებლად სამუშაოების ⁴³ ჩატარება (რაც ექსპერტიზის ბიუროს დასკვნით, შესრულებული იყო დარღვევებით). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ხარვეზების გამოსასწორებელი სამუშაოები გათვალისწინებული იყო სააგენტოს 2018 წლის ბიუჯეტში. მიმდინარე წელს სააგენტომ განახორციელა სამუშაოების შესყიდვა და შესაბამისი ღონისძიებები აუდიტის ანგარიშის გაცემის დროს მიმდინარეობს.⁴⁴

აუდიტის ობიექტის განმარტებით, დღეის მდგომარეობით, არქივის ორსართულიან შენობაში, სადაც განთავსებულია საოფისე ნაწილი და სამუშაო პერიოდში იმყოფებიან თანამშრომლები, გამაგრებითი/გამლიერებითი სამუშაოები უკვე დასრულებულია, ხოლო მდგრადობის დასადასტურებლად, ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში უკვე გადაგზავნილია მოთხოვნა ექსპერტიზის ჩასატარებლად. არქივის ერთსართულიან ნაწილში, სადაც განთავსებულია არქივი, ამჟამად გამაგრებითი სამუშაოები მიმდინარეობს და დასრულებულია შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის 50%-მდე. სამინისტროს განმარტებით, დღეის მდგომარეობით, არქივის შენობის ექსპლუატაცია არ მიმდინარეობს. დაცლილია ადმინისტრაციული შენობა და თანამშრომლები სამუშაოდ გადაყვანილი არიან ალტერნატიულ ტერიტორიაზე.

დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოკითხვების, წერილობითი მიმოწერისა და ფაქტების დოკუმენტური ანალიზის, ასევე განსხვავებული საექსპერტო დასკვნებისა და მოსაზრებების შედეგად, აუდიტის სამსახური ვერ დარწმუნდა არქივის შენობის ექსპლუატაციაში მიღების მიზანშეწონილობაში.

როგორც აღინიშნა, არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად, სააგენტომ დაიწყო სამუშაოების ჩატარება, თუმცა მათი მოცულობისა და ხარისხის შეფასება სცდება აუდიტის სამსახურის კომპეტენციას. ვინაიდან საქმე ეხება ექსპლუატაციაში არსებულ შენობას, მივიჩნევთ რომ პრიორიტეტულია გამოსასწორებელი სამუშაოების დროული დასრულება, რის შემდეგაც უნდა მოხდეს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შენობის მედეგობის შეფასება.

რეკომენდაცია - სერვისების განვითარების სააგენტოსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

სააგენტოს არქივის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია სამინისტრომ სააგენტოსთან ერთად უზრუნველყოს აღნიშნულ პროცესში არსებული ხარვეზების მიზეზების მოკვლევა და მოახდინოს სათანადო რეაგირება. ამასთანავე, მნიშვნელოვანია დროულად გამოსწორდეს შენობის კონსტრუქციული ნაწილის ხარვეზები, ხოლო გამოსასწორებელი სამუშაოების დასრულების შემდგომ მოხდეს შენობის მედეგობის შეფასება.

⁴³ აღნიშნული სამუშაოების სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 88.8 ათასი ლარით 2016 წლის 25 ნოემბერს გამოცხადებული ტენდერის საფუძველზე შპს ABTectonic-თან 2017 წლის 22 თებერვალს დადებული ხელშეკრულებით, 2017 წლის 22 თებერვალს მიღებულ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია.

⁴⁴ SPA180000692 - ხელშეკრულების ღირებულება 85,300.51 ლარი

2.4 სანიველირე ქსელის მოკვლევის მომსახურების შესყიდვაში არსებული ხარვეზები

საჯარო რეესტრის ერთ-ერთი სტრატეგიული ამოცანაა გეოდეზიისა და კარტოგრაფიის განვითარება, რომელიც მოიცავს, მათ შორის, სანიველირე ქსელის⁴⁵ მოკვლევასა და განვითარებას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, საჭიროა გეოდეზიური პუნქტების კოორდინატებისა და სიმაღლეების განსაზღვრა.

საჯარო რეესტრის გეოდეზიისა და გეოინფორმაციის დეპარტამენტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს მაღალი სიზუსტის სახელმწიფო გეოდეზიური გეგმურ-სიმაღლური საფუძვლის რეკონსტრუქცია/განახლება, რაც მოიცავს სანიველირე ქსელის მოკვლევასაც.

საჯარო რეესტრის განმარტებით, „ვინაიდან გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სამსახურს არ გააჩნდა სანიველირე ქსელის მოკვლევის სამუშაოების დროულად ჩატარებისთვის საკმარისი საკადრო რესურსი (ამ მიმართულებით მუშაობდა 2 სპეციალისტი), საჭირო გახდა ტენდერის ჩატარება, შეირჩა მიმართულებები (სატენდერო ლოტები) და დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 27 იანვრის სამსახურებრივი ბარათით რეპერების მოკვლევის მომსახურების შესყიდვაზე მოთხოვნილ იქნა ტენდერის გამოცხადება“.

2014-2017 წლებში საჯარო რეესტრს სულ მოსაკვლევი ჰქონდა 2129 რეპერი. 2014 წელს ტენდერების საფუძველზე მოკვლეულია 1108 სანიველირე რეპერი, ხოლო 2015 წელს 931 რეპერის მოკვლევაზე გამოცხადდა ტენდერი.

ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ, შპს „იზოგრაფიკმა“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება სრულყოფილად ვერ შეასრულა და მის მიერ ფაქტობრივად მოკვლეულ იქნა 565 რეპერი (61%), ხოლო 366 (39%) რეპერი 2015-2017 წლებში დამოუკიდებლად მოიკვლია საჯარო რეესტრის შესაბამისმა სამსახურმა.

შპს „იზოგრაფიკის“ მოკვლევის შედეგებზე, საჯარო რეესტრის მიერ განხორციელებული შერჩევითი ინსპექტირების შედეგად აღმოჩნდა, რომ სანიველირე ნიშნების მოკვლევა განხორციელდა არასრულყოფილად და შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია (მტკიცებულებები) „დაკარგული“ და „განადგურებული“ **23** სანიველირე ნიშნის შესახებ, იწვევდა ეჭვს. სააგენტოს ინსპექტირების აქტების მიხედვით კი ირკვევა, რომ აღნიშნული სანიველირე ნიშნები - არსებობდა⁴⁶.

შემსყიდველის გადაწყვეტილებით, ანაზღაურება განხორციელდა მხოლოდ მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მოკვლეული **565** სანიველირე ნიშნის მიხედვით.⁴⁷ შესაბამისად, დარჩენილი **343** სანიველირე ნიშნის მოკვლევა შემსყიდველის მიერ განხორციელდა დამოუკიდებლად 2015-2017 წლებში, საკუთარი რესურსით, რაც თავის მხრივ, მის პირდაპირ პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

ზემოაღნიშნული გარემოებების ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ საჯარო რეესტრს დამოუკიდებლად შეეძლო აღნიშნული რეპერების მოკვლევა, რაც პროცესს მხოლოდ დროში გააჭიანურებდა. საჯარო რეესტრის სამოქმედო გეგმითა და აქტივობებით ვერ ირკვევა, რა შიდა რესურსი უნდა ყოფილიყო გამოყენებული რეპერების მოსაკვლევად და სამუშაოს რა ნაწილი უნდა განხორციელებული გაჩენილიყო (ტენდერით). ასევე, აღნიშნული პროცესი (რეპერების მოკვლევა) საჯარო რეესტრის მიერ უნდა განხორციელებულიყო 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში, თუმცა სამოქმედო გეგმით პროცესი არ იყო გაწერილი დროში და რეესტრის განმარტებით, სხვადასხვა პერიოდში ხორციელდებოდა.

⁴⁵ სახელმწიფო სანიველირე ქსელი ქვეყნის ტერიტორიის სიმაღლეების ერთიან სისტემას წარმოადგენს, რაც დედამიწის ტოპოგრაფიული გადაღებისა და საინჟინრო-გეოდეზიური სამუშაოების საფუძვლად გამოიყენება.

⁴⁶ 2015 წლის 3 ნოემბრის, 14 დეკემბრის და 21 დეკემბრის ინსპექტირების აქტები (გეოდეზიისა და კარტოგრაფიის, სივრცითი ინფორმაციისა და კადასტრის უზრუნველყოფის დეპარტამენტის გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სამსახურის მთავარი სპეციალისტების მიერ ჩატარებული).

⁴⁷ 23 სანიველირე ნიშნის ანაზღაურება არ განხორციელდა.

დასკვნა

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ტენდერი ჩატარდა ისეთი მომსახურების შესყიდვის მიზნით, რომლის უშუალო განხორციელების უფლებამოსილება საჯარო რეესტრს თავად გააჩნდა. ამასთანავე, საჯარო რეესტრის სამოქმედო გეგმით ვერ ირკვევა, თუ რა რესურსით (შიდა და გარე რესურსები) უნდა განხორციელებულიყო სტრატეგიული ამოცანა და ამოცანის შესასრულებლად საჭირო აქტივობები არ არის გაწერილი დროში.

რეკომენდაცია - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს

ისეთი სტრატეგიული ამოცანების შესასრულებლად, როგორცაა, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის განვითარება, რომელიც მოიცავს სანიველირე ქსელის მოკვლევასა და აღდგენას, მნიშვნელოვანია მოხდეს სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება: კონკრეტული აქტივობების, რესურსებისა და შესასრულებელი სამუშაოს დროის გაწერა, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას, დაგეგმვის სიზუსტეს, ამოცანის შესრულების ეკონომიურობასა და დროულობას.

2.5. ბიომეტრიული პასპორტების მასალის შესყიდვისას ანგარიშსწორების პროცესის არასათანადო მართვის შედეგად გადახდილი თანხების არაეკონომიურობა

სერვისების სააგენტოსა და კომპანია Oberthur Technologies SA-ს შორის შესყიდვის გამარტივებული⁴⁸ ფორმით გაფორმდა ხელშეკრულება⁴⁹ ბიომეტრიული პასპორტების მასალის შესყიდვაზე⁵⁰, ღირებულებით 1,792.78 ათასი ევრო. ჩვეულებრივი ხარჯვის პირობებში ზემოაღნიშნულ ხელშეკრულების ფარგლებში მოწოდებული მარაგების მოხმარება გათვალისწინებული იყო 2016 წლის ივლისამდე, თუმცა მარაგები, სხვადასხვა ობიექტური მიზეზებიდან⁵¹ გამომდინარე, ვადაზე ადრე გაიხარჯა. ახალ მიმწოდებელთან ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, ორგანიზაცია იდგა არსებული სისტემის ხარისხის გაუარესების წინაშე და მისი აღმოფხვრა დაკავშირებული იქნებოდა მნიშვნელოვან ხარჯებთან⁵². შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება იმავე მიმწოდებელთან გამარტივებული ფორმით ხელშეკრულების გაფორმების შესახებ. სერვისების სააგენტოს მხრიდან, მოსაწოდებელ საქონელზე თანხების გადარიცხვა ხორციელდებოდა დაგვიანებით, ვინაიდან პირადობის მოწმობების უფასოდ გაცემასთან დაკავშირებული აქციებიდან გამომდინარე, სააგენტოს შემოსავლები მნიშვნელოვნად შემცირდა, რის გამოც დადგა ზოგიერთ მომწოდებელთან ანგარიშსწორების პრობლემა.

ცხრილი N18. კურსის ცვლილებით გამოწვეული ზარალი

თანხა - ევრო	ხელშეკრულების გადახდის თარიღი	კურსი	ფაქტობრივი გადახდის თარიღი	კურსი	სხვაობა	ზარალი- ლარებში
171,709	16.08.2015	2.5949	29.12.2015	2.6365	0.0416	7,143
495,789	14.01.2016	2.6124	15.03.2016	2.6851	0.0727	36,044
7,864	21.01.2016	2.6583	15.03.2016	2.6851	0.0268	211
515,062	03.07.2016	2.5661	12.07.2016	2.5802	0.0141	7,262
ჯამი						50,660

⁴⁸ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლი, მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი“.

⁴⁹ 2015 წლის 1 აპრილის N 02/01/115-122.

⁵⁰ 250 ათასი ზღანკი, ამდენივე შესაბამისი ლამინატი და 138 ერთეული სახარჯი მასალა.

⁵¹ უფასო აქციების გამო, ასევე 2014 წლის აგვისტოდან საგარეო საქმეთა სამინისტრო გადავიდა ბიომეტრიული მონაცემების მქონე პასპორტის ბეჭდვაზე; ვიზალიზირების ფარგლებში აღებული ვალდებულება - მეელი არაელექტრონული პასპორტების 2015 წლიდან ელექტრონული ზღანკებით ეტაპობრივად ჩანაცვლებაზე. ასევე, ის ფაქტი, რომ 2006 წლიდან დაწყებული ახალი ტიპის პასპორტებს გასდის მოქმედების ვადა, სავარაუდოდ, საჭირო პასპორტების რაოდენობა გაიზარდა.

⁵² სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეების, ნინო ინწვირველის და ზურაბ მაღრაძის 2015 წლის 27 იანვრის მოხსენებითი ბარათი.

შედეგად, მიმწოდებლისთვის თანხების დაგვიანებით ანაზღაურებამ, ვალუტის კურსის ცვლილების გამო, გამოიწვია გადასახდელი თანხის 50.66 ათასი ლარით გაზრდა.

დასკვნა

მიმწოდებლისთვის თანხების დროული გადახდის შემთხვევაში, სააგენტო დაზოგავდა ვალუტის კურსის ცვალებადობით არსებულ სხვაობას - 50.66 ათას ლარს.

რეკომენდაცია

ეფექტიანი მენეჯმენტის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია სერვისების განვითარების სააგენტომ შექმნას შესაბამისი წინაპირობები იმისთვის, რომ შესყიდვების განხორციელებისას არ დაირღვეს ანგარიშსწორების ვადები.

2.6 შრომის ანაზღაურების სისტემაში არსებული ნაკლოვანებები

საჯარო რეესტრსა და სერვისების განვითარების სააგენტოში, რეალურად დასაქმებულ მომუშავეთა საშტატო რიცხოვნობა ჩამორჩება დაგეგმვის ეტაპზე განსაზღვრულ საშტატო რიცხოვნობას.

ცხრილი N19. საჯარო რეესტრის საშტატო ნუსხისა და „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ხარჯების შესახებ

	2015		2016	
დასახელება	დაზუსტებული	ფაქტი	დაზუსტებული	ფაქტი
საშტატო რიცხოვნობა	1088	746	999	772
შრომის ანაზღაურების ფონდი. მათ შორის:	17,651.00	16,443.00	17,338.00	16,351.00
თანამდებობრივი სარგო	14,314.49	13,390.00	14,272.00	13,631.00
პრემია	3,098.20	2,856.00	2,642.00	2,334.00
დანამატი	238.30	197.00	424.00	387.00

ცხრილი N20. სერვისების განვითარების სააგენტოს საშტატო ნუსხისა და „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ხარჯების შესახებ

	2015		2016	
დასახელება	დაზუსტებული	ფაქტი	დაზუსტებული	ფაქტი
საშტატო რიცხოვნობა	691	605	672	588
შრომის ანაზღაურების ფონდი. მ.შ:	10,880	10,874	10,282	10,278
თანამდებობრივი სარგო	8,467	8,462	8,300	8,298
პრემია	2,057	2,057	1,621	1,621
დანამატი	355	354	360	359

2015 წელს, საჯარო რეესტრში ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტებით (ბრძანებით) 30 თანამშრომელზე გაცემული დანამატიდან, 25 თანამშრომელს დაენიშნა ყოველთვიური დანამატი, ხოლო 2016 წელს - 190 თანამშრომელზე გაცემული დანამატებიდან, ყოველთვიური დანამატი დაენიშნა 20 თანამშრომელს.

ერთსა და იმავე თანამშრომლებზე, ერთი და იმავე ოდენობის დანამატის მთელი წლის მანძილზე დანიშვნა, წარმოადგენს შრომის ანაზღაურების ფონდში წინასწარ განსაზღვრულ თანამდებობრივ სარგოს⁵³. აღსანიშნავია, რომ დანამატების გაცემა არ წარმოადგენს კანონშეუსაბამობას, თუმცა გაცემული დანამატები არ არის საკმარისად არგუმენტირებული.

⁵³ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 37, პუნქტი 2.

დასკვნა

სააგენტოებში, თანამშრომელთა წინასწარ განსაზღვრული, დამტკიცებული საშტატო რიცხოვნობა მნიშვნელოვნად აღემატება ფაქტობრივად დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობას (საჯარო რეესტრი - 30%, სერვისების განვითარების სააგენტო - 13%). შედეგად, არსებული საშტატო რიცხოვნობა და შრომის ანაზღაურების ფონდი არ ასახავს ადამიანური რესურსის საჭირო რაოდენობას.

ამასთანავე, საჯარო რეესტრში გარკვეულ შემთხვევებში დანამატები გაიცემა ყოველთვიურად, დასაბუთების გარეშე, რაც ვერ უზრუნველყოფს დანამატის გაცემის საკმარის გამჭვირვალობას და არსებითად თანამდებობრივი სარგოს ხასიათს ატარებს.

რეკომენდაცია - საჯარო რეესტრსა და სერვისების განვითარების სააგენტოს

- სააგენტოების საშტატო რიცხოვნობისა და შრომის ანაზღაურების ფონდის რეალურობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია სააგენტოებმა დაგეგმონ საჭირო ოდენობის საშტატო რიცხოვნობა;
- გაცემული დანამატების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, შემუშავდეს დანამატის გაცემის კრიტერიუმები და დასაბუთების წესი.

2.7 წინა აუდიტების ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირება

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სსიპ-ის წლიურ ბალანსს ამოწმებს დამოუკიდებელი აუდიტორი⁵⁴. იმ პირობებში, როდესაც იუსტიციის სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახური არ ჰყავს, აუდიტის ობიექტებში ბოლო წლებში დამოუკიდებელი აუდიტი არ ჩატარებულა.

ბალანსზე რიცხული იუსტიციის სახლების აღრიცხვის ხარვეზები

საჯარო რეესტრისა და სერვისების განვითარების სააგენტოს ბალანსზე რიცხული დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების რეესტრის მიხედვით, ირკვევა, რომ დაუმთავრებელ აქტივებში ირიცხება იუსტიციის სახლებზე გაწეული სამუშაოს ღირებულებები. აღნიშნული ხარვეზი დაფიქსირებული იყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატის 2011-2013 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშსა და 2014-2015 წლების ფინანსური აუდიტის ანგარიშში. მიუხედავად ამისა, იუსტიციის სახლების მშენებლობების და დამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციის, იუსტიციის ფილიალების ბალანსზე აღრიცხვისა და სახელმწიფო რეგისტრაციის საკითხები, მათ შორის, თბილისის იუსტიციის სახლის ექსპლუატაციაში მიღების საკითხი დღესაც არ არის გადაწყვეტილი. შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივები აუდიტის ობიექტების მიერ ნაჩვენებია გაზრდილი ოდენობით⁵⁵.

ცხრილი N21. დაუმთავრებელი აქტივის ანგარიშზე რიცხული იუსტიციის სახლები

სერვისების განვითარების სააგენტო	ათას ლარებში
დასახლება-დაუმთავრებელი აქტივი	ღირ-ბა
ბორჯომის იუსტიციის სახლი	36.86
ქ.თბილისის სანაპიროს ქ. 2	42,608.86
ქ.თბილისის იუსტიციის სახლის ავტოსადგომი	34.93
ზუგდიდის იუსტიციის სახლი	5.17
მცხეთის იუსტიციის სახლი	201.12
ჭიათურის იუსტიციის სახლი	135.97
	43,022.91

⁵⁴ საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“, მუხლი 14, პუნქტი 2.

⁵⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქცია, მუხლი 3, პუნქტი „გ“.

საჯარო რეესტრი	ათას ლარებში
დასახელება-დაუმთავრებელი აქტივები	ლირ-მა
იუსტიციის სახლი თბილისში	40,090.81
იუსტიციის სახლი ჭიათურაში	1.44
იუსტიციის სახლი ლაგოდეხში	1.69
დაბა სტეფანწმინდის იუსტიციის სახლი	1.27
თიანეთის იუსტიციის სახლი	138.48
	40,233.70

დასკვნა

საჯარო რეესტრისა და სერვისების განვითარების სააგენტოს ბალანსზე ირიცხება დაუმთავრებელი აქტივები საქართველოს სხვადასხვა რეგიონის იუსტიციის სახლების სახით. იუსტიციის სახლები არ არის ექსპლუატაციაში მიღებული. შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში დაუმთავრებელი აქტივების ღირებულება წარმოდგენილია გაზრდილი ოდენობით (სერვისების განვითარების სააგენტო - 43,022.91 ათასი და საჯარო რეესტრი - 40,233.70 ათასი ლარი). ამასთანავე, იმ პირობებში, როდესაც სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახური არ ფუნქციონირებს, სსიპ-ების მიერ ბოლო წლებში აუდიტი არ ჩატარებულა, რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით.

რეკომენდაცია - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საჯარო რეესტრსა და სერვისების განვითარების სააგენტოს

- არაფინანსური აქტივების მართვასა და აღრიცხვაში არსებული პრობლემებისა და ბარეზების აღმოსაფხვრელად, საჭიროა იუსტიციის სამინისტროსა და მისი მმართველობის სფეროში მოქმედ შესაბამის სსიპ-ებს შორის კოორდინირებული ზეგავლენით მოხდეს იუსტიციის სახლების ექსპლუატაციაში მიღებისთვის საჭირო ღონისძიებების უზრუნველყოფა.
- მნიშვნელოვანია კანონმდებლობის შესაბამისად, სსიპ-ებმა უზრუნველყონ აუდიტის ჩატარება.

აუდიტორთა ხელმოწერა

თარიღი

ხელმოწერა

მანანა დავითური
მთავარი აუდიტორი

20.03.2018

მ. დავითური

ლევან შუბითიძე
უფროსი აუდიტორი

20.03.2018

სალომე მანჯგალაძე
აუდიტორი

20.03.2018

1 კი

ანა ზავრაშვილი
აუდიტორი

20.03.2018

ა. ზავრაშვილი

თამარ ბურჯანაძე
აუდიტორ-ასისტენტი

20.03.2018

თ. ბურჯანაძე

